# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 27 ოქტომბერი 1998 №194 (729) ფასი 50 თეთრი



კვირას მცხეთაში: „ვიტ ჯორჯია“ — „რუსთავი“. მუჯირმა და მაისურაძემ მჭედლიძე მოიმწყვდიეს

## საქართველოს ჩემპიონატი — 11 ტური

24 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 3 |
| არსენალი | 2 |
| ოდიში | 1 |
| თსუ | 1 |
| იბერია | 0 |
| მერანი | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |
| დინამო | 0 |
| ტორპედო | 3 |
| სამგურალი | 1 |

25 ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| გორდა | 1 |
| ბათუმი | 1 |
| სიონი | 0 |
| გურია | 28 ოქტომბერს |
| დილა | გაიმართება |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 9 | 7 | 2 | 0 | 35:7 | 23 |
| ტორპედო | 10 | 7 | 2 | 1 | 26:11 | 23 |
| ლოკომოტივი | 11 | 5 | 6 | 0 | 15:5 | 21 |
| დილა | 10 | 6 | 2 | 2 | 14:7 | 20 |
| კოლხეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 23:13 | 20 |
| ბათუმი | 11 | 4 | 5 | 2 | 18:10 | 17 |
| იბერია | 11 | 5 | 1 | 5 | 22:25 | 16 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 4 | 2 | 5 | 12:12 | 14 |
| ოდიში | 10 | 4 | 1 | 5 | 7:13 | 13 |
| არსენალი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:20 | 12 |
| მერანი | 11 | 2 | 6 | 3 | 7:11 | 12 |
| თსუ | 11 | 2 | 3 | 6 | 11:17 | 9 |
| სიონი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:26 | 8 |
| გორდა | 10 | 1 | 5 | 4 | 6:8 | 8 |
| სამგურალი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:26 | 7 |
| გურია | 10 | 2 | 1 | 7 | 9:27 | 7 |

# დათვები ყოჩებს გაუთამამდნენ



„ყოჩები“ აუტებში კი ყოჩობდნენ, მაგრამ „დათვებთან“ ქულა მაინც დაკარგეს

*გუშინ ვაკეში ბათუმელმა „დათვებმა“ ლიდერ და წაუგებელ „ყოჩებს“ სენსაციური ფრე „გაუგორეს“ და ჩემპიონატში უკვე მეორე ქულა დააკარგვინეს.*

ექვსეულის მორიგი ტურის მიმოხილვა მეთერთმეტე გვერდზე

# დღე პირველი

გუშინ, საღამოს ხუთი საათისთვის იამანიძის №5-ში უჩვეულო მდუმარება სუფევდა. ქმეში ჩაუხედავი კაციც კი ადვილად მიხვდებოდა — სფფ-ს ძველი ბინადრები ალ პრეზიდენტს ელოდნენ. ჟორდანიაც დანიშნულ დროს გამოცხადდა თავის ახალ მსახურში ლევან ყიფიანის, გრიგოლ ცაავას და ნიკუშა დოლიძის თანხლებით და ფფ-ს მთელი შემადგენლობაც ერთგულად შეილალა სფფ-ს პრეზიდენტის ოთახში, ერაც „ახალკაცის კაბინეტად“ რომ მოიხსენიებს ხალხი.

ძველ ბინადართაგან მხოლოდ ორი ნოდარი — ანდრიაძე და კობერიძე მოისაკლისეს. ფფ-ს მუშაკთაგან ერთი უცნაური ამბავიც შევიტყვეთ, კობერიძეს გაზეთი „ქართული ეხბურთიც“ თან გაუყოლებია და მისი და ამავე გაზეთის მომავალი ჯერჯერობით უც-ობია, ისევე როგორც ის, თუ რას აპირებს ან რას დააპირებს ნოდარ ანდრიაძე.

მერაბ ჟორდანია მხოლოდ მცირე ხნით შეხვდა ახალ თანამშრომლებს და მცირე ნს ესაუბრა მათ. ახალმა პრეზიდენტმა საქმეში თანადგომა მოსთხოვა სფფ-ს პერსო-ლს და აღუთქვა, რომ წლის ბოლომდე ყველა ძველი მუშაკი თავის ადგილზე დარ-ბა, მერე კი მხოლოდ საქმის პროფესიონალები გააგრძელებენ ჩემთან თანამშრომლო-ს და სფფ-ში მუშაობასო.

მოკლე და საქმიანი გახლდათ მერაბ ჟორდანიას პირველი ვიზიტი იამანიძის №5-ში. შეხვედრით გაირკვა, რომ ახალი პრეზიდენტი არ მოსულა „ცეცხლით და მახვილ-თ“, თუმცა სფფ-ს შემადგენლობაში საკადრო ცვლილებები ვარდაუვალია.

როგორც მერაბ ჟორდანიამ გვითხრა, აღმასკომის მორიგი სხდომა 30 ოქტომბერს იმართება და მას უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიუროს ელმძღვანელი ერიხ ეპლეც დაესწრება.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ვინ? ჩოლარია?!

დღეს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში ერთი მნიშვნელოვანი ხვედრა შედგება — ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვალერი ჩოლარიას გაესაუბრება ეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივნად მისი დანიშვნის თაობაზე.

გუშინ ისიც შევიტყვეთ, თითქოს ჟორდანიას ბრძანება უკვე დაუწერია, ფეხბურთის დერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია იქნებაო. სამწუხაროდ, პრეზიდე-ი ვერაფრით მოვიხელთეთ, აი, დავით კვინიკაძის შესაძლო მემკვიდრეს კი შევეხმიანეთ.

— ჩემს გენერალურ მდივნობაზე საუბარი ჯერ ადრეა — გვითხრა ჩოლარიამ — ლაფერი ხვალ გადაწყდება. მერაბ ჟორდანიას დეპარტამენტში ველი.

— *ბრძანება არ დაწერილა?*

— არა, რის ბრძანება. დანიშნული არ ვარ. ხომ გითხარით, ყველაფერი ჩვენი ხვედრის შემდეგ გაირკვევა.

— *რამდენად რეალურია თქვენი ახალი თანამდებობა?*

— ვნახოთ, ერთი დღეც დავიცადოთ. უმნიშვნელო პრობლემები თუ მოვაგვარეთ, მინ...

— *ამ თემაზე ჟორდანიასთან აქამდე არ გისაუბრიათ?*

— საკმაოდ ხშირად ვსაუბრობდით, მის პრეზიდენტად არჩევამდეც კი. შემოთავაზე-იყო და არის, მოკლედ, ხვალ გადაწყდება.

**კობა ინასარიძე**



ახალი პრეზიდენტის პირველი დღე ახალ სამსახურში

# მანასლუმ თავისი გაიტანა
## ქართველები არ გაიკარა

მანასლუ დაშოშმინდა და ჩვენი მთამსვლელები მასზე ასვლას იწყებენო, კი გაუ-წყეთ, მაგრამ ამ რვაათასიანი ბუმბერაზის დაწყნარებას თურმე საშველი მაინც არ დაადგა. სეზონის დასაწყისში თავს ქარაშოტი რომ დაიტეხა, მხოლოდ რამდენჯერმე გადაიყარა ღრუბლები და ნისლი. ასე იყო გასული კვირის დასაწყისშიც და ჩვენმა მთამსვლელებმა ანგინაგართულებული დავით ჩანტლაძისა და მერაბ ნემსიწვერიძის გარეშე დაიწყეს ასვლა. ეს ორნი კი, როგორც ვიუწყებოდით, შინისკენ მომავალ გზას დაადგნენ.

სამწუხაროდ, იქ დარჩენილი ჩვენი ბიჭები მწვერვალის კენწეროსკენ რომ დაი-ძრნენ, მანასლუ ისევ აბობოქრდა და ქარიშხალი ამოვარდა. ჩვენს მთამსვლელებს წვითა და დაგვით დადგმული სასიმაღლო ბანაკები ძლიერი ქარისგან დანგრეულ-განადგურებული და თოვლში ჩამარხული დახვდათ, მათი აღდგენის ძალა, ენერგია და დრო კი მიილია. იქ ახლა მუსონი იწყება, რაც ჰიმალაიზე მკაცრ ზამთარს ნიშნავს და ისედაც გადარეული მანასლუ და სხვა მწვერვალებიც უფრო უკარებანი ხდებიან.

ასე რომ, მანასლუმ წლეულს მთამსვლელები არ აუშვა და ჩვენი ბიჭებიც გაწბილე-ბულნი შინ ბრუნდებიან.

**ავთანდილ ტყვიშელი**

# ჭაბუკებმა კარიდა გაიჯახუნეს

გუშინ საქართველოს თექვსმეტწლამდელთა ნაკრებმა ევროპის ემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო შეხვედრა ჩაატარა აზერბაიჯანის ნაკრებთან. ქართველებმა მინიმალური ანგარიშით დამარცხეს, მაგრამ საბოლოოდ ქვეჯგუფში მესამე ადგილი იკავეს და შესაბამისად ფინალური ეტაპის მიღმა აღმოჩნდნენ. პირველ შეხვედრაში ავსტრიელებთან 0:2 დამარცხების შე-მდეგ ჩვენ მოზარდებს მეორე მატჩი ბერძენ თანატოლებთან ჰქო-ნდათ და უფროსი კოლეგების „მიღწევაც“ გაიმეორეს — ძლიერ მეტოქესთან დამარცხდნენ ანგარიშით 0:3. აზერბაიჯანელებთან შეხვედრა ჩვენი ნაკრებისთვის ფორმალურიღა იყო, ხოლო მეტოქე კი დიდი ანგარიშით გამარჯვების შემთხვევაში ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შანსს ინარჩუნებდა, მაგრამ ქართველებმა ხმაურით გაიჯახუნეს კარები და მეზობლები მელიქიას გატანი-ლი ერთადერთი გოლით დაამარცხეს. ჯგუფში პირველი ადგილი საბერძნეთმა დაიკავა. ბოლო მატჩში მათ ავსტრიელებთან ფრეც აძლევდათ ხელს, ბერძნებმაც თავისი შანსი ბოლომდე გამოიყე-ნეს — შეხვედრა 0:0 დამთავრდა.

**ბაატა კვანტალიანი**

# გურიას მესაჭე შეუცვალეს

როგორც იცით, შაბათს გასამართი მე-11 ტურის მატჩი „გურია“ — „დილა“ ხვალის-თვის გადაიდო. ჰოდა, გურულებმა ამით დრო მოიგეს და მწვრთნელი შეცვალეს.

ამიერიდან, ჯონი ჯანელიძის ნაცვლად „გურიას“ ავთო ნარიაშვილი გაწვრთნის. ნარიაშვილი ახალი კაცი ნამდვილად არ გახლავთ გუნდში. შარშანდელი სეზონის პირველი წრე, სწორედ მისი დამოძღვრით ჩაატარეს ლანჩხუთელებმა, მაგრამ მეორე წრის დასაწყისში, მას გუნდის დატოვება მოუხდა.

**გოჩა ჯანაშია**

ზუგდიდი
24 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
2 500 (ტევადობა 7 500)

**ოდიში 1:1 თსუ**

1:0 თოლორდავა (55), 1:1 კობიაშვილი (85)
**ოდიში:** ნაყოფია, ლურწკაია, ჯაბუა, კიპაროიძე, ტყემალაძე (მებონია 63), ტაბალუა, იოსავა (თოლორაია 46), აკობია, მარკოზია, თოლორდავა, კუტალია
*სათადარიგონი:* ივარდავა, ჯოჯუა, ცაცუა
**თსუ:** გაბელია, ილურიძე, ვ. ლუდუშაური, თ. კობიაშვილი, ბახტაძე, ცომაია, დ. კაკუბავა, მაღრაძე (კ. სვანიძე 89), წიტაიშვილი (ებრალიძე 46), ჭუმბურიძე (ნინუა 87), როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი, სულაძე, ინწკირველი, ბუკია
**მსაჯები:** თ. მაჭარაძე (ხონი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; მ. ჯულაყიძე (ყველა სამტრედია)
**სფფ-ს დელეგატი:** მ. იაშვილი

# ძმურად გაიყვეს

**თენგიზ ძორჩუა ზუგდიდიდან**

მატჩის დაწყებამდე ადგილობრივმა ინფორმატორმა „ოდიშის“ ხელმძღვანელობის განცხადება გააცნო სტადიონზე მისულ გულშემატკივარს. განსაკუთრებით ქართული სპორტული პრესის რამდენიმე წარმომადგენლის ყურადღებას ითხოვდნენ. მათ მერაბ ჟორდანიას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა მიულოცეს და ქართველი ფეხბურთის საკეთილდღეოდ წარმატებები უსურვეს.

ყოველივე ამის შემდეგ დაიწყო მატჩი, რომელსაც არეულობა უძღოდა წინ. ზუგდიდელთა უმეტესობას თამაში არ სურდა. მიზეზი — ფინანსებია. უკვე რამდენიმე ტურია, „ოდიშის“ ფეხბურთელები მომავლის იმედით გადიან მოედანზე, მაგრამ იმ დღეს მათ ასე გაგრძელება არ ისურვეს და... „ოდიში“ სტუდენტებს ბარქაიას, ლურსმანაშვილის, ჩადუნელის, ანჯაფარიძის, ენდელაძისა და კვეკვესკირის გარეშე დაუხვდა.

მატჩის დასაწყისმა აჩვენა, რომ აუდიტორიის და „მშიერი გუნდის“ შეხვედრა საკმაოდ დაბალი დონისა იქნებოდა. მეტოქენი მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ცდებოდნენ და მხოლოდ ასეთ სიტუაციებში თუ იქმნებოდა სახიფათო მომენტები. ტაიმის შუაგულში კიპაროიძემ მეკარეს არაზუსტად დაუბრუნა ბურთი, რითაც ექსოდიშელმა წიტაიშვილმა ისარგებლა, მეკარე მოატყუა, მაგრამ მეტად მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში ვერ გაიტანა. რამდენიმე წუთში ოდიშელთა შეტევისას კუტალიამ მოულოდნელად შორიდან ძლიერად დაარტყა — გაბელიამ გაჭირვებით გადააგდო ბურთი კუთხურზე. ტაიმის ბოლოს კი მცველთა შეცდომის შედეგად კვლავ კუტალია დარჩა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან კარში ვერ დაარტყა.

მეორე ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და ამან ათ წუთში შედეგიც გამოიღო. 55-ე წუთზე ზუგდიდელთა ლამაზი კომბინაციის შემდეგ ისევ კუტალია აღმოჩნდა საჯარიმოში, მაგრამ დარტყმა დაახანა და მცველთან ბრძოლისას დაეცა. საჯარიმოში შექმნილი არეულობით თოლორდავამ ისარგებლა და დაბალ კუთხეში აულებლად დაარტყა.

გაშვებული გოლის შემდეგ სტუდენტები გააქტიურდნენ. მათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაუშვეს ხელიდან. სტუმრები შეტევის დაგვირგვინებისას სცოდავდნენ. მაღრაძემ კი 5 მეტრიდან იმდენი მოახერხა პირდაპირ მეკარეს მოარტყა ბურთი.

სტუდენტებმა საჯარიმოებიც სახიფათოდ შეასრულეს. საშუალო მანძილიდან ჯერ ცომაიას, ხოლო შემდეგ კაკუბავას დარტყმები მასპინძელთა მეკარემ დიდი გაჭირვებით მოიგერია.

უფროსი გაბელიას შეგირდებმა გოლის გატანა მაინც შეძლეს თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა თენგიზ კობიაშვილმა თავური დარტყმით კარში გადაგზავნა.

ქუთაისი
24 ოქტომბერი
16 საათი
გიჟი კილაძე
2000 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 3:1 სამგურალი**

1:0 მეგრელაძე (2), 2:0 იონანიძე (4), მეგრელაძე (54), 3:1 ჯინჭარაძე (57)
**ტორპედო:** ჭანტურია, შეყრილაძე, ჩხაბერიძე (თურმანიძე 46), მაღლაკელიძე, ჩხაიძე, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი (ვაჩიბერაძე 70), დ. ჯანაშია, იონანიძე, მეგრელაძე, ქებაძე
*სათადარიგო:* მამარდაშვილი
**სამგურალი:** ხაჩირაშვილი, ჯავახაძე, ფრანგიშვილი, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, დ. ჭელიძე (დარსაძე 53), მახვილაძე, ძაგნიძე, მ. ჯინჭარაძე (ზ. ქუთათელაძე 72), თევდორაძე (ფილიპაშვილი 72), კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* სტურუა, ი. ხაჭაპურიძე, გ. თევზაძე, ლონლაძე
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. სამხარაძე (სოხუმი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კობერიძე

# რეტის დებიუტი

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

„ტორპედო“ გაჭირვებაში მყოფ მეზობელს კი ეთამაშებოდა, მაგრამ მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ერთ-ერთი ლიდერთაგანი აუტსაიდერ „სამგურალს“ რაიმეს უშეღავათებდა. მით უფრო გორში განცდილი მარცხის შემდეგ ტორპედოელებს მხოლოდ სამი ქულა თუ მოწმენდდათ პირს.

თუ მოვინდომებთ, მიმდინარე გათამაშებაში წყალტუბოელთა უხეირო თამაშს უამრავ მიზეზს მოვუძებნით, თუმცა მთავარი მაინც შემადგენლობის არასტაბილურობა იქნება. „სამგურალი“ ვერც ამჯერად წარმოგვიდგა სრული ძალით. ხაჭაპურიძეს, უგულავას და თევზაძეს ტრავმები აწუხებდათ, ხოლო უვარჯიშებელი ფაიქიძის დემარშს გამართლება ნამდვილად არ ჰქონდა. მან სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ითაკილა და საერთოდ უარი თქვა თამაშზე, რის გამოც მატჩის ოქმი გადასაწერიც კი შეიქნა.

მასპინძლებს კვლავაც აკლდნენ თბილისელები. ეტყობა, ისინი მართლა აღარ აპირებენ „ტორპედოში“ დაბრუნებას და ქუთაისის მერისგან შეთვლილი მუქარაც აღარ ილეს ყურად. ხუთშაბათს ბატონმა დავით მელქაძემ ტორპედოელებთან შეხვედრისას არაორაზროვნად განაცხადა: ურჩ მოთამაშეებს დისკვალიფიკაცია არ ასცდებათო. ვნახოთ. ისე, ამბობენ, ფეხბურთელებზე (ირაკლი ვაშაკიძე, პაატა ჯინჭარაძე, გიორგი ყიფიანი) მეტად მათი მენეჯერი ჯიუტობსო, რომელიც კლუბს ფეხბურთელებთან კონტრაქტების დარღვევაში სდებს ბრალს, ამასთან საკუთარ წილად მისგან არც მეტი არც ნაკლები—60 ათას დოლარს ითხოვს.

ახლა თამაშზე. რის შეღავათი, რა შეღავათი. მასპინძლებმა დებიუტშივე დაასხეს რეტი ისედაც არეულ სტუმართა დაცვას. ტორპედოელთა პირველივე შეტევა გოლით დაგვირგვინდა. ჩხეტიანმა საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა წყალტუბოელთა კარისკენ, ხაჩირაშვილმა ბურთი უხეიროდ, ახლოს მოიგერია, მეგრელაძემაც უმალ დაამატა. ბურთი ხარიხას მოხვდა, იმისგან ჯავახაძეს და ისე აღმოჩნდა ბადეში. ორ წუთში სტუმართა მცველები კვლავაც შეცდნენ. საჯარიმოში შესულ იონანიძეს კარში დარტყმის საშუალება მისცეს და ხაჩირაშვილმაც ვერაფერი გააწყო, შორეულ კუთხეში გაუშვა.

რაღა თქმა უნდა, სტუმრებს ყოველგვარი იმედი გადაეწურათ, თუმცა ბრძოლა არ შეუწყვეტიათ და შემდგომში რისი უნარიც შესწევდათ, იმას კი აკეთებდნენ. მე-6 წუთზე მათ ერთის გაქვითვის კარგი შანსი მიეცათ, მაგრამ თევდორაძეს ახლოდან აუცდა თავური. მე-10 და მე-19 წუთებზე მეგრელაძეს შეეძლო ანგარიშის გაზრდა. ორჯერვე დათო ჯანაშიამ უპასა. გიამ ჯერ კარს ააცილა, მერე კი მეკარემ ივაჟკაცა. ტაიმის მიწურულს დათო ჯანაშიამ ვერ ისარგებლა ქებაძის საგოლე გადაცემით.

შესვენების შემდეგ ბურთაობა საშუალო ტემპში მიდიოდა. მასპინძელთა უპირატესობა ახლაც საგრძნობი იყო. მართალია, ისინი თამაშის გამწვავებას აღარ ცდილან, მაგრამ დროდადრო ხიფათს მაინც უქმნიდნენ „სამგურალის“ კარს. მესამე ბურთი წყალტუბოელებმა ქებაძე —იონანიძე — მეგრელაძის კომბინაციის შედეგად მიიღეს, რასაც სამიოდე წუთში ერთი საპასუხო გოლი მოჰყვა. კახა ჯანაშიამ მარცხნიდან ჩააწოდა მეკარის ბაქანში. ჭანტურია მაღალ ბურთზე არ გამოვიდა და ჯინჭარაძემაც უმალ დასაჯა „ტორპედოში“ სამი თვის შემდეგ მობრუნებული მეკარე, ახლოდან თაურით გაუტანა. დარჩენილ დროში მეგრელაძემ (ორჯერ) და ვაჩიბერაძემ ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტები.

მცხეთა
24 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

**ლოკომოტივი 0:0 დინამო**

**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, ბარნოვი, თარხნიშვილი, კ. გოგოლაძე, მარლიშვილი (კოტორაშვილი 82), კ. მელქაძე, დაუშვილი, დ. გოდერძიშვილი (ნ. მინდიაშვილი 88), გ. ლუდუშაური (კაციაშვილი 46)
*სათადარიგონი:* ხორგუაშვილი, მ. მინდიაშვილი, გიორგი ქორიძე, დოლაბერიძე
**დინამო:** გვარამაძე, ი. მახარაძე, ჯელაძე, დიდავა, დ. მუჯირი, გუჩუა, კიკნაძე, ლ. მიქაძე, აშვეთია, ზ. არჩვაძე, გ. შენგელია
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, გ. კვარაცხელია, ქემოკლიძე, ა. სახვაძე, რუხაძე, გ. მიქაძე
**გაფრთხილება:** არსოშვილი (72), მიქაძე (81)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე, მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; გ. მგელაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** მ. კობიაშვილი

# ნაუგებლად დარჩნენ

**კობა ინასარიძე მცხეთიდან**

შაბათამდე წაუგებელი გუნდები ერთმანეთთან თამაშის შემდეგაც მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, კარის ბადე ვერავინ შეარხია.

პირობითად მასპინძლად წოდებულმა „ლოკომოტივმა“ თავიდანვე სიფრთხილე ირჩია, მკაცრად აკონტროლებდა საკუთარი საჯარიმოს მისადგომებს. სტუმართა ფორვარდების — აშვეთიასა და შენგელიას პერსონალურად მეურვეობა თემურ მახარაძემ ბალაშვილსა და არსოშვილს დაავალა. ეს განსაკუთრებით კარგად მაშინ გამოჩნდა, როცა შესვენების შემდეგ რკინიგზელებმა ტემპს უმატეს და გვარიან უპირატესობასაც დაეუფლნენ. მახარაძემ სტუმართა თავდამსხმელების გაუვნებელყოფის აშკარად ეფექტურ ხერხს მიმართა. აკი გაუმართლა კიდეც. დინამოელებმა, ერთორ კინკილა მომენტს თუ არ მივიღებთ სათვალავში, ღირებული ვერაფერი შექმნეს ჯანელიძის კართან. თუმცა „ლოკომოტივმაც“ ვერაფრით გამოიჩინა თავი. ეგ იყო, გოდერძიშვილის სახიფათო მაკრატელას მოგერიება მოუხდა გვარამაძეს. სხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო მცხეთის სტადიონზე არაფერი მომხდარა. წინა დღეს ჩატარებულმა ფეხბურთის ფედერაციის ყრილობამ, ეტყობა, ფეხბურთელებზეც გარკვეულწილად იმოქმედა, განსაკუთრებით დინამოელებზე, რომელთა პრეზიდენტიც წინა ღამით მთლიანად ქართული ფეხბურთის მმართველი გახდა.

მცხეთაში აშკარად პოზიციური თამაში მიმდინარეობდა. ბურთი ძირითადად საჯარიმოს ხაზიდან საჯარიმოს ხაზამდე ტრიალებდა. ამის შედეგად არც მეკარეები შეწუხებულან მაინცდამაინც.

„დინამოს“ ცქიტიშვილისა და ალექსიძის გარეშე უჭირდა ბურთის დაჭერა. კიკნაძე მართალია ბევრს კი ცდილობდა, მაგრამ მარტოს არაფერი გამოსდიოდა, ისრაელში გადაბარგებული ლევან ხომერიკის არყოფნაში ჩემპიონებს დამრტყმელი ძალაც მოაკლდათ და სულაც არაა გასაკვირი, მატჩი უგოლოდ რომ მორჩა.

„ლოკომოტივი“ მეორე ტაიმში უფრო გუნდურად ათამაშდა. ეტყობა, თემურ მახარაძემ შესვენებაზე, უშუქო გასახდელში ასე დაარიგა თავისი შეგირდები. ისინი დიდხანს აკონტროლებდნენ ბურთს, თუმცა დინამოელთა ლიბერო დიდავას გადამკიდეებს არც არაფერი გამოუვიდათ. ნელ-ნელა მატჩის დასას[რულიც მოახლოვდა. მასპინძელთა მწ[ვრთნელმა სამივე შეცვლის უფლებ[ა გამოიყენა, ხურცილავამ — არც ერთი. „ლოკომოტივს“ დასვენებული ხალხ[ი შეემატა, მაგრამ ხეირი არ ჩანდა. გო[გოლაძის აქტიურობა და ემოციურობ[ა შილაკაძის სასტვენისთანავე გაქრა. მა[ტჩის მიმდინარეობისას კი ცდა არ და[უკლია თავისიანების გასახარად.

ერთის აღნიშვნაც ღირს. მატჩს, არც კ[ი ვიცით როგორ ვუწოდოთ, ყოფილი თ[ა ფაქტობრივი ფედერაციის გენერალუ[რი მდივანი დავით კვინიკაძეც ესწრ[ებოდა. ეტყობა, ფეხბურთს ვერ ელ[ევა...



გურამ [illegible] ფოტო

ვაჟა თარხნიშვილმა ივანე მახარაძის იერიში ჩაშალა

სამტრედია
24 ოქტომბერი
16 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 000 (ტევადობა 15 000)

**იბერია 0:0 მერანი**

**იბერია:** ზ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი (ლორთქიფანიძე 81), ქობესაშვილი, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, თოდუა (გ. ჭელიძე 60), ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე, ივეჩიანი, მუმლაძე (ვარდიაშვილი 46)
*სათადარიგონი:* ჩაჩუა, სადილიანი, ფხაკაძე, მიქელთაძე
**მერანი:** ნაჭყებია, ივანიშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გენაძე (ცქიფურიშვილი 88), გელა ქორიძე, ბაჯელიძე (ჯიშკარიანი 89), გ. კვეტენაძე, ხუციშვილი (მესხი 90), ხარებავა
*სათადარიგონი:* ლომაია, ჭინჭარაული, ე. ალადაშვილი
**გაფრთხილება:** ბაჯელიძე (57)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი), ვ. ჩოჩიშვილი, ა. მეშკოვი; ზ. ლაცაბიძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ჯ. ანთიძე

# ქორიძე
## მწვრთნელი ფეხბურთელი გულშემატკივარი პოლიტიკოსი

**კონსტანტინე გოგიშვილი სამტრედიიდან**

წლევანდელ „იბერიას“ ასე სჭირს: კაციშვილი ვერ იწინასწარმეტყველებს, რომელ მატჩს როგორი შედეგით დაამთავრებენ იბერიელები. ერთი კი მუდამ ნათელია: სამტრედიელი გულშემატკივარი მარად განაწყენებულია სფფ-ზე, ამიტომაც ყოველი სამტრედიული შეხვედრის დროს უხვად უგზავნის „მოსაკითხს“ მას. „იბერია“ — „მერანის“ მატჩის დროსაც ასე მოხდა. მაყურებელი მხურვალედ ქომაგობდა თავის გუნდს და შიგადაშიგ მსაჯიდან დაწყებული, ფედერაციით დამთავრებული, ყველას და ყველაფერს ცნობილ კონტექსტში მოიხსენიებდა.

ქორიძეებს რაც შეეხებათ: სამტრედიელებს ბადრი ქორიძე წვრთნის (ეს მწვრთნელი), ბურთს მერანელი გელა ქორიძე აგორებს (ეს ფეხბურთელი), ვახტანგ ქორიძე თავისი შვილის საქომაგოდ ეწვია სამტრედიას (ეს გულშემატკივარი) და ცნობილი ექსპარლამენტარი თეიმურაზ ქორიძეც საპატიო სტუმართა ლოჟიდან ადევნებდა თამაშს თვალს (ესეც თქვენი პოლიტიკოსი).

ახლა შეხვედრას რაც შეეხება: თითქოს ძალიან არ იკლავდა გიორგი დარასელია თავს „იბერიას“ რიგებში გამოსვლისას, მეტიც, იგი ძველი ძუკუს აჩრდილს ჰგავდა, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ აშკარად გამოჩნდა: ძუკუ დამდგარიც კი ნახევარი გუნდი ყოფილა. ამიტომაც უჭირთ ამ ბოლო ხანს სამტრედიელებს.

„მერანი“ კი ჩვეულად მაგრად დადგა და საგარეო ფრესაც გამოჰკრა ხელი. სხვანაირი შედეგი აფსუსიც იქნებოდა. თუკი სამტრედიელთაგან ხუჭუას ჰქონდა ერთი ასპროცენტიანი საგოლე, მერანელთაგან კვეტენაძეს შეეძლო მასპინძელთათვის ყელის გამოჭრა, ოღონდ მისი დარტყმული ძელმა აისხლიტა. სხვამხრივ მეტად ერთფეროვანი, უსახური თამაშის მომსწრენი შევიქენით. ტერიტორიულ უპირატესობას მთლიანად იმერლები ფლობდნენ. „მერანი“ კონტრშეტევებით პასუხობდა და თავსაც კარგად იცავდა. მთელი შეხვედრის მანძილზე მხოლოდ ორჯერ აახმაურეს იბერიელებმა საკუთარი მაყურებელი — ერთხელ, როცა პირველ ტაიმში ხუ[ჭუას დარტყმული ხელზე მოხვდა ხა[რებავას და ლაცაბიძემ პენალტი არ დანიშნა, მეორედ კი იგივე ხუჭუამ მც[ველთა შეცდომა ვერ გამოიყენა და აშ[კარა საგოლე გააცუდა.

ტრანსპორტელთა რიგებში ყველაზე მეტად კვეტენაძე გამოირჩეოდა. იგი მთე[ლი ოთხმოცდაათი წუთის განმავლო[ბაში არ გაჩერებულა და ხან ახლო[დან, ხან საშუალო მანძილიდან დარტყმე[ბით მოსვენებას არ აძლევდა გუბაზ დოლიძეს. „იბერიას“ დაცვა წინა შეხვედრებთან შედარებით ნორმალურად ირჯებოდა, აი, ნახევარდაცვამ გაგვიც[რუა იმედები — მეტად და მეტად ერ[თფეროვანი გახლდათ მათ მიერ ივეჩი[ანის და ხუჭუას მისამართით ჩაწოდე[ბულები, რომელთაც, როგორც წესი[ტანმაღალი მერანელი მცველები თა[ვით უკანვე აბრუნებდნენ.

შეხვედრის ერთ-ერთ ეპიზოდში ფე[ხბურთელებმა კინკლაობაც გააჩაღეს — ვაშაკიძე და ბაჯელიძე წალაპარაკდნენ, რისთვისაც მსაჯმა ამ უკანასკნელს „ყვითელი აუნთო“ — ეს იყო და ეს. მერე ყველაფერი ძველებურად აკადემიურად გაგრძელდა, ისევ მაყურებელთა ყიჟინა-შეძახილი თუ გამოაცოცხლებდა „ეროსი მანჯგალაძის“ სტადიონს.

და ერთიც, სამტრედიელთა საევროპო ამბიციებმა ჩაილურის წყალი დალია.

# ნეტავ, ვისი ბრალია?

მცხეთა
25 ოქტომბერი
15 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 2:1 გორდა**

1:0 გ. გვაზავა (28), 1:1 ლ. ალადაშვილი (41), 2:1 ზ. გვაზავა (72)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, გ. მაისურაძე, ჯ. მუჯირი, ი. კაპანაძე (დ. დოლიძე 60), აბაზაძე, ზ. გვაზავა, მაზიაშვილი, ნოზაძე, თ. ბოკერია (ლამბაშიძე 72), გ. გვაზავა (ვ. გოჩაშვილი 80)
სათადარიგონი: გუგუნავა, კვიციანი, ქოხონელიძე, ა. ბოკერია
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, მ. სახვაძე, ლ. ალადაშვილი, ტარტარაშვილი, ზირაქაძე (ქოიავა 46), გაბელაია, ჩუხუა, კ. ალადაშვილი
სათადარიგონი: ბედიაშვილი, ჩოხელი, რაზმაძე, სულაშვილი, შ. კაპანაძე
გაფრთხილება: აბაზაძე (48), მაზიაშვილი (87)
მსაჯები: მ. მალალურაძე, ს. შალამბერიძე, ა. ქარქაშაძე; ე. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან

წინა ტურში „ვიტ ჯორჯია“ „სინათლეზე“ „მერანს“ შეხვდა. მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. ამ შეხვედრაში მომხდარი ინციდენტი გემახსოვრებათ. მატჩის მიწურულს „მერანის“ შეტევისას თანამსაჯმა ჯერ თამაშგარე დააფიქსირა, გოლი რომ გავიდა ალამი ჩამოუშვა და თავისი გადაწყვეტილება გადათქვა, რისთვისაც ვიტელთა და ახალგაზრდული ნაკრების მცველმა გიორგი ჭანკოტაძემ მუცელში წიხლი უთავაზა. მატჩის არბიტრ პაატა დოგრაშვილს მისთვის არც ყვითელი ბარათი უჩვენებია და არც წითელი. უფრო სწორად, ყვითელი კი აჩვენა, მაგრამ ესმანამდე იყო და იმ ეპიზოდთან კავშირი არ ჰქონდა. ამხელა შესავალი იმიტომ გავაკეთეთ, რომ როდესაც „გორდასთან“ შეხვედრის განაცხადში ჭანკოტაძის გვარი ვერ ვიხილეთ და მიზეზით დავინტერესდით, გუნდის ხელმძღვანელობამ გვიპასუხა, ფედერაციიდან გაგვაფრთხილეს, სანამ სადისციპლინო კომიტეტი განაჩენს არ გამოიტანს, არ ათამაშოთო. ჩვენც, ბუნებრივია, დავინტერესდით, რის საფუძველზე აეკრძალა ფეხბურთელს თამაში. საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა ბადრი ქარქაშაძემ მოგვიგო, დებულების მიხედვით უფლება გვაქვს, ასეთი ქცევისთვის ჭანკოტაძეს თამაში ავუკრძალოთ, სანამ სადისციპლინო კომიტეტი განაჩენს გამოუტანსო.

ახლა კი თავად მატჩზეც ვთქვათ. „ვიტ ჯორჯია“ მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდა მცირე ტერიტორიულ უპირატესობას, თუმცა სახიფათო მომენტებამდე საქმე იშვიათად მიდიოდა.

რუსთაველებმა კი პირველად მხოლოდ მე-20 წუთზე დაარტყეს. ჩუხუას შორეული ჯარიმა კარს გადასცდა. ვეტერინარებმა რამდენჯერმე მწვავედ შეუტიეს და 29-ე წუთზე იხეირეს კიდეც. მორიგი შეტევისას მაზიაშვილმა საჯარიმოში ჩასაფრებული გრიგოლ გვაზავა შენიშნა და ჩააწოდა. გვაზავა ჰაერში ზამბარასავით გაიჭიმა და ულამაზესი მაკრატელათი ბურთი ცხრიანში შეჭედა. ქორიძემ მხოლოდ თვალი გააყოლა. ამ გოლზე „არმაზზე“ მისულმა აწ უკვე ყოფილმა გენსეკმა დავით კვინიკაძემ ენამოსწრებულად იხუმრა, ყველაფერ ცუდს რომ ჩვენ მოგვაწერენ, ნეტავ, ეს გოლი ვილას ბრალიაო. სხვისი არ ვიცი და მე თუ მკითხავთ, იგი მთლიანად გრიგოლ გვაზავას დამსახურებაა, თუმცა არც მაზიაშვილის დროული და ზუსტი პასია დასავიწყარი.

ამის შემდეგ „ვიტ ჯორჯია“ დაწყნარდა, მეტოქეს აღარ შეუტია, რისთვისაც მალე დაისაჯა. ტაიმის მიწურულს კახა ალადაშვილმა თავით თავისი ძმა ლაშა მონახა, ამან კი ახლოდან მწვერთნელი და მამა იასონ ალადაშვილიც გაახარა და სხვებიც.

მეორე ტაიმი პირველის მსგავსად წარიმართა. ბრძოლა ძირითადად მოედნის ცენტრში მიდიოდა. 72-ე წუთზე „გორდას“ საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, სტუმრებმა ბურთი კი მოიგერიეს, მაგრამ იგი ზვიად გვაზავას მიუვიდა, რომლის შორიდან დარტყმულიც მცველს მოხვდა, მიმართულება ოდნავ იცვალა და კარში შევარდა. ქორიძემ ბურთს ხელი კი წაარტყა, მაგრამ „გორდას“ ვერ უშველა. ორ წუთში ლაშა ალადაშვილმა მოჭრილი დარტყმით სცადა გათანაბრება, თუმცა ჭურაძემ კარგი რეაქცია გამოავლინა.

ბოლოს ჩუხუას შეეძლო გაეთანაბრებინა, როდესაც მეურვე ჩამოიცილა და შორიდან მოულოდნელად დაარტყა, მაგრამ მცირედით ააცილა.



გრიგოლ გვაზავამ (შუაში) კვირას დიდებული მაკრატელა გაიტანა

# ბათუმი 1:1 სპარტაკი

ბათუმი
25 ოქტომბერი
15 საათი
დინამო
1000 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 1:0 სიონი**

1:0 მაჭუტაძე (37)
ბათუმი: მალაყმაძე, პაპიძე, მ. მახარაძე, ჭიჭკეიშვილი, სიჭინავა, კანტიძე, გადელია, აფხაზავა, ტულუში, მაჭუტაძე, რუსია
სათადარიგონი: ტოგონიძე, ფუტკარაძე, ვერემჩუკი, მაჭავარია, ყულეჯიშვილი, რომანაძე, ნადირაძე
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაქიაშვილი, ყიფშიძე, გაგუა (ქობელაშვილი 84), მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე (დ. სვანიძე 46), მ. გოგოლაძე, მაზანაშვილი, ჯაგიდიძე (დ. ჯაფარიძე 46), მოსეშვილი
სათადარიგონი: დალაქიშვილი, ზ. მეტრეველი, ე. ჯაფარიძე, ფ. არჩვაძე
გაფრთხილება: ყიფშიძე (8), გოდერძიშვილი (13), რუსია (43), პაპიძე (57)
განდევნა: გოდერძიშვილი (36)
მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი), ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი); ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

სათაურის წაკითხვისას ალბათ იკითხავთ — რის სპარტაკი, რა სპარტაკიო? არა, რუსეთში სწორედ კვირას ჩემპიონებული მოსკოვის „სპარტაკი“ არაფერ შუაშია. მიზეზი სულ სხვაა. „სიონის“ თავკაცი სპარტაკ არჩვაძე, წლეულს მეორედ ეწვია ბათუმს. პირველად ეს სეზონის გახსნის მატჩში იყო, როცა ზღვისპირელები „ვიტ-ჯორჯიას“ მასპინძლობდნენ. არჩვაძე ხომ მაშინ თბილისელთა კლუბს ედგა სათავეში. ჰოდა, მაშინ ჩემპიონატის პირველი სენსაციაც გამოცხვა. ვიტელებმა დამაჯერებლად მოიგეს და ამაში დიდი წვლილი სწორედ მას მიუძღვის. იგივეს განმეორების სურვილი გულის სიღრმეში, ალბათ, გუშინწინაც ჰქონდა არჩვაძეს. მაგრამ არ გამოუვიდა.

„სიონი“ უდავოდ სწორ გზას ადგას. ზედიზედ ექვსი უშედეგო მატჩის შემდეგ ბოლნისელებმა როგორც იქნა მოიგეს. წინა ტურში მათ საკუთარ კედლებში „ოდიშს“ სძლიეს და ბათუმური მატჩის წინ განწყობა გაიუმჯობესეს.

სიტყვამ მოიტანა და ერთსაც ვიტყვი. სტადიონზე ერთი საათით ადრე მისულს, „ბათუმის“ ფეხბურთელები ადგილზე დამხვდნენ. აი, სტუმრები კი არ ჩანდნენ. ათიოდე წუთში მათი ავტობუსიც გამოჩნდა, რომელსაც რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, გოთური წარწერა „ს. კ. ოდიშის“ ამშვენებდა. ჰოდა, კაცი იფიქრებდა წინა ტურში ბოლნისელებმა ოდიშართ სამი ქულა რომ აართვეს, ავტობუსიც ზედ მიაყოლესო. მიზეზი კი უბრალო გამოდგა — „ოდიშის“ ძველ თავკაცებს, ავტობუსი თავის დროზე ბოლნისელი პიროვნებისთვის მიუყიდიათ, რომლისთვისაც ქალაქის ხელმძღვანელებს, ბათუმში გუნდის წაყვანა დაუვალებიათ. მოკლედ ამაზეა ნათქვამი — „სადაურსა სად წაიყვანო“.

„ბათუმს“ კარგა ხანია არ წაუგია, მაგრამ დიდად არც მოგებებით უხეირია. აგერ, ბოლო ორი ტურია, უგოლო ფრეს სჯერდება და ამ მატჩში უცილობლად სამი ქულა სწყუროდა. აკი, შოთა ჭეიშვილმაც შესაფერისი მიზნის მიმღწევი შემადგენლობა დააყენა და ერთბაშად ოთხ მოიერიშეს უხმო მოედანზე.

თვით მატჩი, რომელიც მთლიანობაში (განსაკუთრებით მეორე ტაიმი) ერთობ უფერული გამოდგა, მასპინძლებთა შეტევებით დაიწყო და პირველ 20 წუთში მათ სამჯერ მიეცათ გატანის შანსი, სამჯერვე შორეული დარტყმების შედეგად. პირველად, მეხუთე წუთზე გადელიას ცოცხალ კედელს ეფექტურად გადავლებული საჯარიმო ხარიხამ აისხლიტა. ათიოდ წუთში, უკვე სიჭინავას ჩვეულ გასროლილს, სიზუსტე ოდნავ დააკლდა. მესამედ კი, მახარაძის 15 მეტრიდან შესრულებულმა აბრაგანმა, კვლავ ხარიხას შეუმოწმა სიმტკიცე. ბათუმელთა არც თუ ისე მწვავე შეტევებს, სტუმრები იოლად იგერიებდნენ და დროდადრო კონტრშეტევებისთვისაც იცლიდნენ, მაგრამ მათ აშკარად აკლდათ სიმწვავე. მატჩის ბედი კი, 36-ე წუთზე გადაწყდა, როცა მაჭუტაძეს გოდერძიშვილმა მაისურზე დაქაჩა. მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და გააძევეს.

მატჩის შემდეგ, ბოლნისელები უკმაყოფილებას ვერ ფარავდნენ — კი ბატონო, მეორე ყვითელი მას კი ეკუთვნოდა, მაგრამ პირველი ლორთქიფანიძემ აშკარად გამოიგონაო. ყველაფერ ამას, იქვე მეორე უბედურებაც დაემატა. „ბათუმმა“ გოლი გაიტანა. მარცხნიდან კანტიძის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი, მახარაძის უშედეგო მაკრატელას შემდეგ, მაჭუტაძეს მიუვიდა და მანაც შვიდიოდ მეტრიდან, ვოლკოვს აუღებელი დაურტყა.

მეორე ტაიმი, პირველზე უფრო უინტერესო გამოდგა და ზოზინით მოთამაშე სტუმარ-მასპინძელს აღმა-დაღმა ბურთის გორების გარდა, კარგა ხანი, ღირებული არაფერი შეუქმნია. არა, კაცნაკლული „სიონის“ ასეთი თამაში გასაგებია, მაგრამ „ბათუმს“ რაღა დაემართა. აშკარად ჩანდა, რომ ზღვისპირელები თამაშის იშტაზე ვერ იყვნენ და ოდენ შორი დარტყმებით ცდილობდნენ მეტოქის შეწუხებას. აშკარაა რომ გუნდში რაღაც ხდება და ეს „რაღაც“, კულუარებში გავრცელებულ მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ უთუოდ მომძლავრებულ ფინანსურ პრობლემებში უნდა ვეძიოთ.

თამაშის ბოლო ათი წუთი, უფრო საინტერესო გამოდგა. ჯერ იყო და მეტოქეთა უყურადღებობით კინაღამ მაზანაშვილმა ისარგებლა, მაგრამ საჯარიმოში უპრობლემოდ შესულს, დარტყმა გაუცუდდა. მასპინძელთა პასუხმაც არ დააყოვნა და ტულუშის დრიბლინგს, ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფი სიჭინავას ახლოდან დარტყმული მოჰყვა. თუმცა ერთობ უზუსტო და ბურთი ლამის ზღვაში ამოჩნდა. აი ბოლო წუთებში, მოსეშვილი ვალდებული იყო ზღვისპირელები რომ დაესაჯა, როცა საჯარიმოში შესულმა ჭიჭკეიშვილი იოლად ჩამოიცილა და ოდნავ მახვილი კუთხიდან დაარტყა კიდეც — მალაყმაძემ ნახტომში აუღო, ხოლო მოგერიებულს გივი ქობელაშვილმა ვერ მიუსწრო და „სიონიც“ ბედს შეურიგდა.

# ფრონტი თუ ფეხბურთი?

ფოთი
24 ოქტომბერი
16 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 10 000)

**კოლხეთი 3:2 არსენალი**

1:0 წიფწივაძე (7), 2:0 გაბისონია (19), 3:0 კალანდაძე (53), 3:1 კაკაშვილი (75), 3:2 ტარიელაშვილი (82)
კოლხეთი: ქვაჩახია, ქუნთელია (გოროზია 73), ახვლედიანი, შალამბერიძე, ლალანიძე (ქუტიძე 83), კალანდაძე, სუხიაშვილი, გვასალია, წიფწივაძე, გაბისონია (გიორგობიანი 52), მ. ქობულაძე
სათადარიგონი: ჩემია, ტორჩინავა, კრასოვსკი, ბაჩილავა
არსენალი: ჩლაიძე, ფირცხალავა, დ. კაპანაძე, ვ. გველესიანი (კაკაშვილი 52), ქიქავა (მ. მაისურაძე 46), ლაცაბიძე, ყოლბაია, ლომიძე (კორღალიძე 68), ტარიელაშვილი, ხოსროშვილი, ზირაქიშვილი
სათადარიგონი: აბაშიძე, გ. სულაძე, ყუფარაძე
გაფრთხილება: კაპანაძე (52)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. ორდენიძე (ონი), ლ. რაზმაძე (გორი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

გიორგი ვაშაკიძე ფოთიდან

თავიდანვე გეტყვით, რომ ზღვისპირა ქალაქს დანიშნულ დროზე ვერ ჩავედი, მეტიც, მეთერთმეტე ტურის მატჩი ხუთი წუთის დაწყებული გახლდათ. მიზეზი? მას შემდეგ, რაც ტრანსპორტმა ლიხის ქედი გადასერა და გეზი დასავლეთისაკენ აიღო, თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე მდგომი სამთავრობო პოლიციელის ბრძანება ისმოდა — მანქანა გააჩერეთო. გაბედე და არ დაემორჩილო, მაშინ? სენაკი — ფოთის მაგისტრალზე ნანახმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აკაკი ელიავას გამოხდომას ისე დაუშინებია პოლიციელნი და სამთავრობო ჯარის შენაერთები, სანგრების გათხრაც კი დაუწყიათ, მანქანებს ხომ ცოცხალი თავით გაუჩერებელს არ უშვებდნენ. ისიც კი გავიფიქრე, ფრონტზე ხომ არ ვიმყოფები-მეთქი და მართალი გითხრათ, ცოტათი შევშინდი კიდეც.

ახლა კი თავად შეხვედრაზე. წინა დღით ჩატარებულ ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებს გუნდებზე არავითარი ზეგავლენა მოუხდენია და მატჩიც ჩვენი ჩემპიონატისთვის დამახასიათებელ დუნე ტემპში წარიმართა. თამაშის მიწურულს კი მდგომარეობა დაიძაბა. ამაზე ქვევით.

სტადიონზე, როგორც გითხარით, ხუთი წუთით დავაგვიანე, ორ წუთში კი პირველი გოლიც გავიდა. სანამ მატჩის ოქმში გავერკვეოდი, ბადრი ახვლედიანის მიერ ჩაწოდებული კუთხურისას არმიელი მცველები პოზიციურად შეცდნენ, კარის წინ უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა ჰამლეტ წიფწივაძემ კი ბურთს თავი დაუხვედრა და ანგარიში გახსნა, ჩემპიონატში მეათე გოლიც გაიტანა და ბომბარდირთა დავაში ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. მასპინძელთა მასირებული იერიშები ამის შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ ტემპი ჩვეული, დაბალი იყო. განსაკუთრებით სახიფათო კი ბადრი ახვლედიანის მიერ ჩაწოდებული კუთხურები გახლდათ.

„არსენალი“ ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, კონტრშეტევებით სურდა ფონს გასვლა, მაგრამ ვერ ახერხებდა. შეხვედრის მე-19 წუთზე არმიელთა საჯარიმოში წიფწივაძე — გაბისონიას ორსვლიანი კომბინაცია ამ უკანასკნელმა ლამაზი ნახევარბრუნით დაასრულა. ჩლაიძემ ბურთს თითები კი წაატანა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა — 2:0. ფეხმტკივანმა გაბისონიამ „კოლხეთში“ უკვე მეორე შეხვედრა ჩაატარა და ისევე, როგორც წინა ტურში თსუ-სთან, არც ახლა დაუტოვებია მინდორი უგოლოდ, თუ ასე გააგრძელა, ეგებ ბომბარდირთა მარაქაშიც კი გაერიოს. ერთ წუთში მას დუბლის შესრულებაც შეეძლო, საჯარიმოში ქიქავა ლამაზად ჩამოიცილა, მაგრამ დარტყმისას ზვიადმა შეცდომა გამოასწორა და მეტოქეს ფეხებში ჩაუვარდა. ტაიმის შუაწელისთვის ზეცაში ყვავების უშველებელი გუნდი გამოჩნდა. ამის ბრალი იყო თუ რა, 35-ე წუთზე საჯარიმოს კუთხიდან არმიელმა ვახტანგ გველესიანმა ძლიერად გაისროლა, ქვაჩახიამ მოიგერია, დასამატებლად ზირაქიშვილმაც არანაკლებ ძლიერად მოიქნია ფეხი, ბურთი კი კოლხ მცველს ხელზე მოხვდა და კუთხურზე გადავარდა. ტრიბუნაზე მყოფ ფოთელ მაყურებელს სუნთქვა შეეკრა, არიქა, პენალტი დაგვიდესო, მაგრამ... ამან არმიელები გაანაწყენა, ისინი გუნთაძეს შემოეხვივნენ და ედავებოდნენ, თუმცა ფიფას არბიტრი შეუვალი აღმოჩნდა. არმიელებმა კი, თუ პენალტს არ გვინიშნავ, ჩვენს გასაკეთებელს ჩვენვე გავაკეთებთო. მართალია, მიზნამდე ცოტა დააკლდათ მაგრამ... ამ ამბიდან ორ წუთში გოლის გატანის რეალური შანსი გაუშვეს ხელიდან. ზირაქიშვილმა მის შესახვედრად გამოვარდნილ ქვაჩახიას ბურთი თავზე კი გადაუგდო, მაგრამ კოლხთა საბედნიეროდ, იგი ხარიხას მოხვდა. იქიდან ასხლეტილს ხოსროშვილმა თავური შეაგება, აქ კი შალამბერიძემ ივაჟკაცა, მცირეოდენი ტრავმის ფასად თავითვე ცარიელი კარიდან გამოიტანა. არმიელებმა საქმის კეთება მეორე ნახევრისთვის გადადეს.

მეორე ტაიმი მათ უფრო ცოცხლად დაიწყეს, შეტევას შეტევაზე ახორციელებდნენ, კოლხებს კი დაბნეულობა ეტყობოდათ. ზაზა ზირაქიშვილი ერთ მომენტში მარტოც კი დარჩა მეკარესთან, მაგრამ ქვაჩახიამ დაასწრო და არ გაატანინა. მასპინძლები ნელ-ნელა მოეგნენ გონს, ჯერ იყო და კალანდაძის გასროლილი ხარიხას მოხვდა, შემდეგ კი გვასალიამ ქობულაძე მოხდენილად გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, იქ კი კაპანაძეს საჯარიმოს მისადგომებთან მოცელვის გარდა არაფერი დარჩენოდა. ამისთვის იგი გუნთაძემ ყვითელი ბარათით დასაჯა. ჯარიმა კალანდაძემ მოჭრილი დარტყმით ცოცხალ კედელს გადაატარა და ჩლაიძე უსაქმოდ დატოვა 3:0. ამას არმიელები თითქოსდა საბოლოოდ უნდა გაეტეხა, მაგრამ ასე არ მოხდა. ოთარ კორღალიძემ მოედანზე აკაკი კაკაშვილი შეუშვა და მანაც გაუმართლა. 75-ე წუთზე ტარიელაშვილის ჩაწოდებულზე საჯარიმოში ტანმაღალმა კაკაშვილმა ერთბაშად ორ კოლხს, შალამბერიძეს და გოროზიას მოუგო დუელი და თავურით ანგარიში „დაასველა“, ხოლო 82-ე წუთზე მანვე მარცხენა ფლანგზე გაილაღა, მის ჩაკიდებულს ახლა უკვე ტარიელაშვილი გამოეხმაურა, შალამბერიძეს ბურთი მოჰპარა და მის შესახვედრად ჩაწოლილ ქვაჩახიას მახვილ კუთხეში გაუტანა 3:2. მდგომარეობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაიძაბა. არმიელებს წაგებული შეხვედრის გადარჩენა სურდათ, კოლხები დაბნეულნი ჩანდნენ.

დარჩენილ დროში ფეხბურთელები გოჯ მინდორსაც არ თმობდნენ, მაგრამ ალარაფერი გამოუვიდათ.

# რა მოხდა შაბათს ლივერპულში

## ინგლისი

### X ტური

**ტოტენჰემი 2:0 ნიუკასლი**

1:0, 2:0 ივერსენი (40, 76)
ტოტენჰემი: ბაარდსენი, კარი, კალდერვუდი, ნილსენი, ანდერტონი, ფერდინანდი (ივერსენი 19), ანმსტრონგი, ედინბურგი, ჟინოლა (კლემენსი 88), სკეილსი, კემპბელი
ნიუკსლი: გივენი, გრიფინი, პირსი, შარვე, სერანტი, ლი, სოლანო, ბეტი, გლასი (სპიდი 56), შირერი, დალგლიში (გივარში 56)
გაფრთხილება: კალდერვუდი, სკეილზი, ნილსენი, ჟინოლა, დალგლიში, ლი
მსაჯი: ბარბერი

**უიმბლდონი 2:2 მიდლსბრო**

0:1 მუსტო (23), 1:1 გეილი (26), 1:2 რიკარდი (37), 2:2 გეილი (76)
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰენი, პერი, ბლექველი, ტჰერი, ერლი, რობერტსი, გეილი, ლიბერნი (კორტი 72), ჰიუზი, იუელი (კენედი 72)
მიდლსბრო: ბერესფორდი, ფლემინგი, გორდონი, ვიკერსი, ფესტა, მუსტო, დინი, თაუნსენდი (სტამპი 83), რიკარდი (ბეკი 83), სამერბელი, კუპერი
გაფრთხილება: გორდონი, სამერბელი
მსაჯი: ლოჯი

**შეფილდი 0:0 ევერტონი**

შეფილდი: პრისმენი, აზერტონი, იონკი, უოლკერი, ბუტი, ჰემფრისი, ბრისკო, ჰინჩკლიფი, ომი, ალექსანდერსონი, სონერი
ევერტონი: მირე, კლილენდი, ბოლი, დაკურტი, უოტსონი, ანსუორსი, კოლინზი, ფერგიუსონი, ჰაჩისონი, მატერაცი, ბაკაიოკო (კადამარტერი 70)
გაფრთხილება: სონერი, დაკურტი, ანსუორსი, კოლინზი, მატერაცი, კადამარტერი
მსაჯი: ვინტერი

**საუთჰემპტონი 2:1 ქოვენთრი**

1:0 ლე ტისიე (23), 2:0 ოსტენსტადი (44), 2:1 დაბლინი (60)
საუთჰემპტონი: ჯონსი, ჰილი, მონკოუ, ლუნდეკვანი, ბენალი, რიპლი, ჰოუელსი (პალმერი 47), ჰიუზი, ოუკლი (ბრიჯი 70), ოსტენსტადი (ბიტი 86), ლე ტისიე
ქოვენთრი: ჰედმენი, ნილსონი (ტელფერი 70), ბაროუსი (ედუორსი 45), შოუ, ბრინი, ჰაკერბი, ოატენგი (სოლტვედტი 77), მაკალისტერი, დაბლინი, ველანი, ფროგატი
გაფრთხილება: ლე ტისიე, ველანი, ბოატენგი
მსაჯი: ჰარისი

**ლიდსი 0:0 ჩელსი**

ლიდსი: რობინსონი, რადებე, ვუდგეიტი, მოლენარი, ჰიდენი, ჰოფკინი (ჰაალანდი 72), ბოუიერი, მაქფეილი, გრენვილი, ჰასელბაინკი (ვაინჰარდი 80), კიუელი
ჩელსი: დუ გუი, ფერერი, დებეფი, დიუბერი, ბაბაიარო, ძოლა (პოიეტი 66), დი მატეო, დესაი, უაიზი, ლაუდრუპი, კაზირაგი (ფლო 76)
გაფრთხილება: ბოუიერი, მოლენარი, ვაინჰარდი, რადებე, ძოლა, დი მატეო, ლებეფი, დე გუი, უაიზი, დიუბერი, ბაბაიარო
გაძევება: ლებეფი (61)
მსაჯი: რიდი

**ბლექბერნი 1:2 არსენალი**

0:1 ანელკა (25), 0:2 პეტი (39), 1:2 ჯონსონი (64)
ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, დევიდსონი, შერვუდი, პიკოკი, ჰენჩოსი, სატონი, უილკოქსი (დევისი 45), დაფი, მაკინლი, ჯონსონი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინტერბერნი, ვიეირა, ბოულდი, ლიუნგბერგი, ანელკა, ბერხკამპი, ოვერმარსი, კიოუნი, პეტი
გაფრთხილება: სატონი, შერვუდი, ლიუნგბერგი, ვიეირა
გაძევება: სატონი (90)
მსაჯი: გალაჰერი

**დერბი 1:1 მანჩესტერი**

1:0 ბარტონი (74), 1:1 კრუიფი (86)
დერბი: ჰოულტი, შნური, პაუელი, შტიმაცი, სტარიჯი, ვანჩოპე, დელაპი, ლაურსენი (დორიგო 46), პრაიორი, კერსლი, ბარტონი
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი (სქოულზი 81), სტამი, ბექემი, ბატი (ბლომკვისტი 81), კოული, გიგზი (კრუიფი 81), ფ. ნევილი, კინი, იორკი, ბრაუნი
გაფრთხილება: შნური, პაუელი, კოული, გ. ნევილი
მსაჯი: დარკინი

**ლივერპული 5:1 ნოტინგემი**

1:0 ოუენი (10), 1:1 ფრიდმენი (18), 2:1 მაკმანამანი (23), 3:1, 4:1, 5:1 ოუენი (38, 71პ, 77)
ლივერპული: ჯეიმსი, მაკატივი, სტაუნტონი, მაკმანამანი (ტომსონი 78), ოუენი, რიდლე, ჰეგემი, ბერგერი, ინსი, ბიორნებიუ, კარაგერი
ნოტინგემი: ბიზანტი, როჯერსი, ჩეტლი, ჰილდე, სტოუნი, ჯემილი, შიპერლი, ბარტ-უილიამსი, ფრიდმენი, არმსტრონგი, ბონალაირი
გაფრთხილება: ჰილდე
მსაჯი: დანი

**ასტონ ვილა 1:1 ლესტერი**

0:1 კოტი (36), 1:1 ეჰიოგუ (68)
ასტონ ვილა: ოუქსი, ჩარლზი (ჯოაკიმი 60), რაიტი, საუდგეიტი, ეჰიოგუ, ტეილორი, კოლიმორი, მერსონი (უოტსონი 82), ტომსონი, ბერი, ჰენდრი
ლესტერი: კელერი, სინკლერი, იზეტი, ლენონი, ჰესკი, გაპი, სევიჯი, ელიოტი, ალატორნი, კოტი, ზაგორაკისი (უილსონი 82)
გაფრთხილება: ეჰიოგუ, ალატორნი, ლენონი
მსაჯი: ბერგი

**ჩარლტონი 4:2 ვესტ ჰემი**

0:1 რაიტი (17), 1:1 ტაილერი (29), 1:2 ბერკოვიჩი (40), 2:2 მილსი (73), 3:2 ჰანტი (87), 4:2 რედფირნი (90პ)
ჩარლტონი: პეტერსონი, მილსი, პაუელი, რუფუსი, იუდსი, ტაილერი (რობინსონი 65), რეტფირნი, კინსელა, ჰანტი, მენდონკა (ს. ჯონსი 85), მორკიმერი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რადოკი, პირსი, ფერდინანდი, დიქსი, ლომასი, ლამპარდი, ბერკოვიჩი (მონკური 79), რაიტი (კიტსონი 78), ჰართსონი, სინკლერი
გაფრთხილება: ბერკოვიჩი, დიქსი, მონკური
მსაჯი: ბერი

— ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც თავს მშვენივრად ვგრძნობ და არც ერთი მატჩის გამოტოვება არ მსურს — ლივერპულელმა თინეიჯერმა მაიკლ ოუენმა, რომელიც უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში „ვალენსიასთან“ გუნდის ხელმძღვანელობამ სათადარიგოთა შორის განამწესა, ეს სიტყვები „ნოტინგემთან“ შეხვედრის წინა დღეს წარმოთქვა.

— მაიკლი დღეს შეუდარებელი, ბრწყინვალე იყო. ბევრი მეტყვის, „ვალენსიასთან“ რომ ეთამაშა, იქნებ კანისარესიც დაებომბაო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. მისი დიდებული თამაში დროულმა დასვენებამ განაპირობა — ეს სიტყვები კი, რომლებიც რაღაცით თავის მართლებას ჰგავს, „ლივერპულის“ ორი თავკაციდან ერთ-ერთს, როი ევანს ეკუთვნის. მან ეს ყველაფერი „ნოტინგემთან“ შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მაინც რა მოხდა ასეთი შაბათს ლივერპულში?

ამ კითხვაზე ძალიან მოკლე პასუხის გაცემა შეიძლება — რა და „ლივერპულმა“ 5:1 მოიგო, ოთხი გოლი კი ოუენმა გაიტანაო. მაგრამ ასე მოკლედ იმის თქმა, რაც ახალგაზრდა ფორვარდმა მშობლიურ „ენფილდზე“ დაატრიალა, ნამდვილად გაუმართლებელი იქნება.

მატჩი 10 წუთის დაწყებული იყო, ოუენმა საკმაოდ ლამაზი, ძლიერი დარტყმით ტაბლოს მომსახურე პერსონალს საქმე რომ გაუჩინა და ლივერპულელი ფანები სკამებიდან წამოახტუნა. თუმცა სულ ცოტა ხანში მათ ისევ „უკან დახტომამ“ მოუწიათ — დაგი ფრიდმენმა გაათანაბრა.

ზუსტად ხუთ წუთში „ენფილდზე“ შეკრებილთა მეორე კერპმა სტივ მაკმანამანმა მასპინძლები კვლავ დააწინაურა. ამის შემდეგ კი ოუენმა ისე გაილაღა, როგორც არასდროს. დღესდღეობით ერთ-ერთი, ვისაც თავისუფლად შეუძლია თქვას, რომ 18 წლის თავდამსხმელი ეზიზღება, ნოტინგემელთა კარის დარაჯი ბიზანტია ვისაც ოუენმა შაბათს ოთხჯერ „მიაყენა შეურაცხყოფა“.

პირველი ტაიმი 3:1 დასრულდა. მესამე ვინც გაიტანა, გასაგებია. მანვე 71-ე წუთზე გამოცდილი გერმანელის კარლ-ჰაინც რიდლეს წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა, ხოლო მატჩის დასრულებას 13 წუთი რომ უკლდა, „პოკერიც“ გამოაცხო.

აი, რა მოხდა შაბათს ლივერპულში.

ახლა, როდესაც ამ კითხვაზე პასუხი უკვე გავეცით, ბირმინგემში გადავინაცვლოთ, სადაც პრემიერლიგის ლიდერები „ლესტერს“ დაუხვდნენ.

მასპინძლები ვიგოში, „სელტასთან“ მძიმე ბრძოლის შემდეგ ცოტათი გადაღლილები ჩანდნენ, უფრო ფსიქოლოგიურად. თუმცა იმას, რომ მათ ქულა აიღეს, სწორედ ჩინებულ ფსიქოლოგიურ მომზადებას, ანუ მთავარ მწვრთნელ ჯონ გრეგორის უნდა უმადლოდნენ.

„ასტონ ვილამ“ პირველი ტაიმი 0:1 წააგო და საკმაოდ უსახურადაც გაისარჯა. გრეგორიმ რომ ეს იგრძნო, ეტყობა, გასახდელში ფეხბურთელებს ერთი კარგად დაუცაცხანა, გუნდის თამაშში ტაქტიკური ცვლილებებიც შეიტანა და მეორე ნახევარში მოედანზე სულ სხვა „ასტონ ვილა“ გავიდა. წესით, ბირმინგემელებს სტუმრები შინ ხელცარიელი უნდა გაეშვათ, მაგრამ მათ გოლის გატანის უამრავი შანსი ქარს გაატანეს და მხოლოდ უგო ეჰიოგუს ზუსტი დარტყმულით დაკმაყოფილდნენ.

— „ლესტერმა“ მშვენივრად ითამაშა, ბევრი იმოძრავა და მიაღწია კიდეც თავისას, მაგრამ ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავს, მეორე ნახევარში ორი გოლი მაინც უნდა გაგვეტანა. ყველაზე ძალიან სწორედ ეს მაღელვებს — მატჩის შემდეგ გრეგორი დაკარგულ ორ ქულას მისტიროდა. მაგრამ სატირალი მას ჯერჯერობით არაფერი აქვს — მდევრები შორს არიან. აი, „მანჩესტერს“ რომ მოეგო...

თუმცა „რომ“ ფეხბურთში არაფერს ნიშნავს და ეს ყველამ კარგად იცის, მით უმეტეს, ალექს ფერგიუსონმა. ისევე, როგორც გრეგორის გუნდმა, მისმა შეგირდებმაც დასანანი ორი ქულა გადაყარეს წყალში, თანაც არცთუ კარგ ფორმაში მყოფ „დერბი ქაუნთისთან“. მაგრამ, ეტყობა, ოთხშაბათს დანიაში „ბრონდბიუს“ განადგურებით გამოწვეული ეიფორია კვლავ ბატონობს „ალისფერი ეშმაკუნების“ ბანაკში. მეტიც, რომ არა დიდი იოჰან კრუიფის საკმაოდ უნიჭო ვაჟი ჯორდი, ეს ეიფორია შეიძლება ტრაგედიად გადაქცეულიყო. მოკლედ, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ფრედ 1:1 ითამაშა და ლიდერზე კვლავ ერთი თამაშით და ოთხი ქულით ნაკლები აქვს.



REUTERS ბლექბერნიდან

ბლექბერნი — არსენალი. ემანულ პეტი კევინ დევისს ისე ეუხეშა, რომ ნაიჯელ უინტერბერნსაც (№3) კი გაუკვირდა

მანჩესტერელთაგან განსხვავებით, ინგლისის ჩემპიონმა ლონდონის „არსენალმა“ ჩემპიონთა ლიგაში ვერ ივარგა, მაგრამ სტუმრად მეტად თვალსასეირო და დაძაბულ მატჩში „ბლექბერნ როვერსს“ აჯობა.

დედაქალაქელები მასპინძლებს თითქმის მთელი 90 წუთი უტევდნენ. ერთადერთი მომენტი, როდესაც თამაში გათანაბრდა, ჯონსონის მიერ გატანილი გოლის შემდგომი პერიოდი იყო.

ანგარიში ახალგაზრდა ფრანგმა ნიკოლა ანელკამ შორეული, საკმაოდ ლამაზი დარტყმით გახსნა, სანამ ბურთი ბადეში გაეხვეოდა, იგი ძელსაც მოხვდა, რამაც ანელკას გოლი კიდევ უფრო გაალამაზა.

ამას ლონდონელთა შტურმი მოჰყვა, რომლის მოგერიებაც „ბლექბერნს“ თანდათან უჭირდა. მასპინძლებმა შეტევა რა იყო სულ გადაივიწყეს. ყველაფრის ლოგიკური დასასრული მეორე ფრანგის, ოღონდ ახალგაზრდა თანაგუნდელისგან განსხვავებით, მსოფლიოს ჩემპიონის ემანუელ პეტის გატანილი გახლდათ. მან ეს თავისსავე წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან, „ცოცხალ კედელში“ მდგომი ერთ-ერთი ბლექბერნელის ფეხის დახმარებით მოახერხა — მიმართულებაშეცვლილი ბურთის მოსაგერიებლად ტიმ ფლაუერსი მზად არ იყო.

მეორე ტაიმის მე-19 წუთზე ჯონსონმა გაქვითა და როი ჰოჯსონის ბიჭებიც თითქოს გააქტიურდნენ. მათ მეორე გოლიც კი გაიტანეს, მაგრამ მსაჯმა მის ავტორს კევინ დევისს აუხსნა — კი გაიტანე, მაგრამ მანამდე კიოუნს უშნოდ ეჯაჯგურებოდი და ამიტომაც არ ჩავთვლიო. ამ ამბავმა მასპინძლებში ბუნებრივი რეაქცია — პროტესტი გამოიწვია, რამაც ისინი აანერვიულა (ესეც ბუნებრივია), მთელი ბოლმა კი კრის სატონმა კიდევ ერთ ფრანგზე, პატრიკ ვიეირაზე გადმოანთხია და შავკანიან ნახევარმცველს კინაღამ კარიერა დაასრულებინა. სასჯელი ლოგიკური იყო — წითელი ბარათი, ჰოდა, 10 კაციანი „ბლექბერნი“ რომ ჩემპიონებს ვერაფერს დააკლებდა, ცხადი გახდა, თანაც არბიტრის საათის დიდი ისარი უკვე 90-თან იყო მიახლოებული.

სხვა საინტერესო პრემიერლიგის მე-10 ტურში თითქმის არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქეცბაიას „ნიუკასლი“ ჯორჯ გრემის ახალ კლუბ „ტოტენჰემ ჰოთსფურთან“ პირწმინდად დამარცხდა (ქართველი სტუმართა განაცხადშიც კი არ იყო) და აგრეთვე „ლიდს იუნაიტედ“ — „ჩელსის“ შეხვედრას, სადაც მსაჯმა თერთმეტჯერ ააფრიალა ყვითელი, ერთხელ კი წითელი ბარათი (ლებეფი გააძევა), ხოლო სტუმართა ჰოლანდიელმა მეკარემ ედ დე გუიმ პირველი ტაიმის მიწურულს თანამემამულე ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს პენალტი აუღო.

**დავით ძოძუაშვილი**

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ასტონ ვილა | 10 | 6 | 4 | 0 | 11:3 | +8 | 22 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | +5 | 10 | 5 | 2 | 3 | 0 | 3:1 | +2 | 9 |
| 2 | მანჩესტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 19:8 | +11 | 18 | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | +11 | 13 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 |
| 3 | არსენალი | 10 | 4 | 5 | 1 | 12:5 | +7 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | +7 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 0 | 6 |
| 4 | ლივერპული | 10 | 4 | 4 | 2 | 18:11 | +7 | 16 | 5 | 2 | 3 | 0 | 11:5 | +6 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | +1 | 7 |
| 5 | მიდლსბრო | 10 | 4 | 4 | 2 | 16:11 | +5 | 16 | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | +5 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 7 |
| 6 | ჩელსი | 9 | 4 | 4 | 1 | 13:9 | +4 | 16 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | +4 | 11 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 |
| 7 | ნიუკასლი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:13 | +2 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | +4 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 |
| 8 | ტოტენჰემი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:16 | -4 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | -3 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 7 |
| 9 | ჩარლტონი | 10 | 3 | 4 | 3 | 17:14 | +3 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 11:5 | +6 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:9 | -3 | 6 |
| 10 | ლიდსი | 10 | 2 | 7 | 1 | 9:6 | +3 | 13 | 5 | 2 | 2 | 1 | 4:1 | +3 | 8 | 5 | 0 | 5 | 0 | 5:5 | 0 | 5 |
| 11 | დერბი | 10 | 3 | 4 | 3 | 8:7 | +1 | 13 | 5 | 2 | 2 | 1 | 4:2 | +2 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 5 |
| 12 | ლესტერი | 10 | 3 | 4 | 3 | 10:10 | 0 | 13 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | +2 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 |
| 13 | უიმბლდონი | 10 | 3 | 4 | 3 | 15:18 | -3 | 13 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | +2 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:11 | -5 | 5 |
| 14 | ვესტ ჰემი | 10 | 3 | 4 | 3 | 9:12 | -3 | 13 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | +1 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:7 | -4 | 5 |
| 15 | ევერტონი | 10 | 2 | 6 | 2 | 6:6 | 0 | 12 | 5 | 0 | 4 | 1 | 0:1 | -1 | 4 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | +1 | 8 |
| 16 | შეფილდი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:10 | -2 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:2 | +2 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | -4 | 3 |
| 17 | ბლექბერნი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:14 | -4 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:6 | +2 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:8 | -6 | 1 |
| 18 | ქოვენთრი | 10 | 2 | 2 | 6 | 7:16 | -9 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:8 | -6 | 1 |
| 19 | ნოტინგემი | 10 | 2 | 2 | 6 | 7:16 | -9 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | -2 | 5 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:12 | -7 | 3 |
| 20 | საუთჰემპტონი | 10 | 1 | 2 | 7 | 6:23 | -17 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:14 | -13 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რიკარდი (მიდლსბრო) | 8 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| შირერი (ნიუკასლი) | 6 |
| რაიტი (ვესტ ჰემი) | 5 |
| მენდონკა (ჩარლტონი) | 5 |
| იორკი (მანჩესტერი) | 5 |

**XI ტური**

31 ოქტომბერი
ჩელსი - ასტონ ვილა
დერბი - ლიდსი
ლესტერი - ლივერპული
ქოვენთრი - არსენალი
ნიუკასლი - ვესტ ჰემი
უიმბლდონი - ბლექბერნი
შეფილდი - საუთჰემპტონი
ევერტონი - მანჩესტერი
1 ნოემბერი
მიდლსბრო - ნოტინგემი
2 ნოემბერი
ტოტენჰემი - ჩარლტონი

## პირველი დივიზიონი

### XVI ტური

**ქუინზ პარკი 0:1 ბირმინგემი**
0:1 ადებოლა (6)

**ბარნსლი 2:1 პორტსმუთი**
1:0 უარდი (25), 2:0 ბერნარდი (59), 2:1 დურნინი (75)

**ბრედფორდი 1:1 კრ. პალასი**
შეწყდა უამინდობის გამო

**ქრიუ 1:4 ტრანმერი**
0:1 ირონსი (5), 0:2 ჯონსი (6), 0:3 ტეილორი (12), 0:4 მაჰონი (14), 1:4 ლიტლი (82)

**ნორვიჩი 4:1 ჰადერსფილდი**
1:0, 2:0 ბელამი (2, 30), 3:0, 4:0 რობერტსი (41, 49), 4:1 ბერესფორდი (59)

**ოქსფორდი 0:2 შეფილდი**
0:1 საუნდერსი (12), 0:2 კაჩურო (60)
სტოკპორტი 0:1 იფსვიჩი
0:1 დეირი (60)

**სანდერლენდი 1:0 ბერი**
1:0 დიკიო (79)

**სვინდონი 2:2 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 ჰალი (11), 1:1 ჰიუზი (22), 2:1 ვალტერსი (37), 2:2 ფლინი (57)

**უოტფორდი 2:2 პორტ ვეილი**
0:1 ფოული (12), 1:1, 2:1 გუდმუნდსონი (27, 53), 2:2 ტანკარდი (82)

**ვულვერჰემპტონი 2:0 გრიმსბი**
1:0 ვოლი (21), 2:0 კირლი (36პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 14 | 7 | 7 | 0 | 30:10 | 28 |
| ბირმინგემი | 16 | 8 | 4 | 4 | 21:14 | 28 |
| ჰადერსფილდი | 16 | 8 | 3 | 5 | 22:22 | 27 |
| იფსვიჩი | 14 | 7 | 4 | 3 | 19:8 | 25 |
| უოტფორდი | 15 | 7 | 3 | 5 | 24:24 | 24 |
| ნორვიჩი | 13 | 7 | 2 | 4 | 22:17 | 23 |
| შეფილდი | 15 | 6 | 5 | 4 | 22:21 | 23 |
| გრიმსბი | 15 | 6 | 4 | 5 | 19:17 | 22 |
| ვესტ ბრომვიჩი | 14 | 6 | 3 | 5 | 29:25 | 21 |
| ბოლტონი | 13 | 5 | 6 | 2 | 28:21 | 21 |
| ბრედფორდი | 14 | 6 | 3 | 5 | 23:18 | 21 |
| ვულვზი | 14 | 6 | 3 | 5 | 18:13 | 21 |
| პორტ ვეილი | 15 | 6 | 3 | 6 | 16:24 | 21 |
| კრ. პალასი | 12 | 6 | 2 | 4 | 20:19 | 20 |
| ბერი | 16 | 5 | 5 | 6 | 11:13 | 20 |
| ბარნსლი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:22 | 18 |
| ტრანმერი | 14 | 4 | 6 | 4 | 18:20 | 18 |
| პორტსმუთი | 16 | 4 | 5 | 7 | 24:25 | 17 |
| სტოკპორტი | 15 | 3 | 8 | 4 | 17:20 | 17 |
| ბრისტოლი | 16 | 3 | 6 | 7 | 25:31 | 15 |
| სვინდონი | 16 | 3 | 5 | 8 | 22:29 | 14 |
| ოქსფორდი | 16 | 3 | 4 | 9 | 18:30 | 13 |
| ქრიუ | 14 | 2 | 4 | 8 | 17:28 | 10 |
| ქუინზ პარკი | 14 | 2 | 3 | 9 | 10:23 | 9 |

# ვაჰ, დრონი, დრონი

## გერმანია

IX ტური

**ფრაიბურგი 2:2 ვერდერი**

1:0 ბაია (20), 1:1 შაპუიზა (44), 1:2 ნიეგუსი (52), 2:2 ბაია (65)
ფრაიბურგი: გოლცი, ტ. ჰოფმანი, კორელი, შ. მიულერი, კოლი, ბაია, პავლინი (ფრონცეკი 75), კობიაშვილი, გიუნესი (სლიმანი 67), ვაისჰაუპტი, სელიმი (ვასმერი 81)
დორტმუნდი: კლოსი, ნიეგუსი, ფაიერზინგერი, კოლერი, რიკენი (კ. ბაუმანი 88), ფროინდი, ა. მიოლერი, ნერლინგერი, ბარბარესი (დედე 86), შაპუიზა (ჰესლერი 77), სალუ
გაფრთხილება: კორელი, ნერლინგერი, მიოლერი, ფროინდი, ნიეგუსი
მსაჯი: ბუხარტი

**ჰამბურგი 1:1 ვერდერი**

1:0 იებოა (58), 1:1 მაქსიმოვი (86)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერტჩი, გროთი, ბიოგერი, ფ. ერნსტი (ფიშერი 78), იეპსენი, დემბინსკი, იებოა, კირიაკოვი (ვეტენდორფი 55)
ვერდერი: როსტი, აილტსი, ტოდტი, ვიდენერი, ვიკი, ტრარესი, როემბიაკი (ბენკენი 46), სკრიპნიკი, ჰერცოგი (მაქსიმოვი 76), ბოდე, ფრინგსი
გაფრთხილება: ფიშერი, ტოდტი, ტრარესი
გაძევება: ტრარესი (72)
მსაჯი: ალბრეხტი

**ბაიერნი 4:0 კაიზერსლაუტერნი**

1:0 ბასლერი (10), 2:0 დაეი (45), 3:0, 4:0 ელბერი (52, 56)
ბაიერნი: კანი, იერემისი, ბაბელი, კუფური (ლინკე 65), ფინკი, ეფენბერგი, ტარნატი, ლისარასუ, ბასლერი (ციკლერი 65), დაეი, ელბერი (სალიჰამიჯიჩი 76)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, სამირი, კოხი (ჰრუტკა 46), რაიხი, რიდლი, ბალაკი, სფორცა, როოსი (შეფერი 73), როსლერი (რიშე 46), ხრისტოვი
გაფრთხილება: ელბერი, ტარნატი, ეფენბერგი, ჰრუტკა
მსაჯი: ჰაინემანი

**ჰანზა 2:2 შალკე**

1:0 პამიჩი (64), 2:0 დოვე (66), 2:1 მაქსი (81), 2:2 ვოლფი (85)
ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ჰანსაუგე, ლანგე, ელერსი, იასერი, დოვე (ჰოლეჩეკი 83), მაიაკი, პამიჩი (ფუქსი 86), ბოიჟილო
შალკე: შობერი, ა. მიულერი (ვოლფი 72), ტიგენრაუხი, ვან ჰოგდალემი, ჰელდი, ნემეცი, ჰამი (ლატალი 68), ვან კერკჰოვენი, ბიოუსკენსი, მულდერი (მაქსი 61), აიგელკამპი
გაფრთხილება: ელერსი, მულდერი
მსაჯი: კემლინგი

**ბოხუმი 1:2 მიონხენგლადბახი**

0:1 პფლიპსენი (11), 1:1 რაისი (15), 1:2 შინდცილორცი (46)
ბოხუმი: ტ. ერნსტი, სუნდერმანი, კრახტი, ვოლდოხი, პეშელი (ტოპლაკი 68), ნ. ჰოფმანი (ფარენჰორსტი 57), შინდცილორცი, რაისი, გაუდინო, კუნცი (ბასტურკი 57), ბუკლი
მიონხენგლადბახი: ენკე, ანდერსონი, ვიტეჩეკი, ასანინი, პასლაკი, დაისლერი, პფლიპსენი, ვინჰოფი (ჰაგნერი 76), მ. შნაიდერი, პოლსტერი, პეტერსონი (კეტელაერი 64)
გაფრთხილება: შინდცილორცი, პეშელი, ვიტეჩეკი, ასანინი, პოლსტერი, ანდერსონი
მსაჯი: აუსტი

**ვოლფსბურგი 2:0 აინტრახტი**

1:0 ბალვანცი (11), 2:0 იუსკოვიაკი (90)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვანცი, ტომსენი, ონილი, გრაინერი, ნოვაკი, დამაიერი (იუსკოვიაკი 76), კაპეტანოვიჩი, აკონორი, პრეგერი (ბრაიტენრაიტერი 88), ბაუმგარტი (რეინა 69)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ხუბჩევი, ბინდევალდი, კაიმაკი, ბრინკმანი, შური, ბ. შნაიდერი, პისონტი, კუჩერა, ჩენ იანგი (სტოიაკი 74), გებჰარდტი (ვესტერჰალერი 53)
გაფრთხილება: შური
მსაჯი: მერკი

**დუისბურგი 0:0 ჰერტა**

დუისბურგი: გილი, ვანა, ვოლერტი, ჰაიტო, კომლიენოვიჩი, ტიოფტინგი (ვედაუ 60), ოსტჰოფი, ჰირში, ნოინი, ბაიერლე, ზპისი (ანდერსენი 64)
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი (ჰარტმანი 64), რეკდალი, ვან ბურიკი, ტომი, ტრეჩოკი, დარდაი, შმიდტი, ვაიტი, პრეეტცი, ვოში
გაფრთხილება: ოსტჰოფი, ნოინი, ვან ბურიკი, ტომი, ვაიტი, ტრეჩოკი
მსაჯი: ვაგნერი

**ლევერკუზენი 1:1 მიუნხენი**

1:0 კირსტენი (73), 1:1 ჰობში (87)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ჰაპე, რეები, ნ. კოვაჩი (ემერსონი 76), რამელო, ბაინლიხი, ზე რობერტო, კირსტენი (რაიხენბერგერი 88), მაიერი (რინკი 88)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, გრაილიხი, ვანენბურგი, კინტცი (ჰობში 65), ჩერნი, ზელიჩი, შელდტი, მალცი (დინზეი 34), სტევიჩი (იოვოვი 70), ვინკლერი, შროტი
გაფრთხილება: მაიერი, დინზეი, ვინკლერი
მსაჯი: ფრიოლიხი

**ნიურნბერგი 2:2 შტუტგარტი**

0:1, 0:2 ბობიჩი (24, 37), 1:2 კუკა (52), 2:2 ტოიბერი (67)
ნიურნბერგი: ჰილფიკერი, ფ. ბაუმანი, ტოიბერი (მოლცი 79), რანერი, შტორცენჰოფეკერი, ვისინგერი, ლიოში, რიხტერი, ბიურგერი (პოლუნინი 45), კუკა, ჩირიჩი (სკოოგი 36)
შტუტგარტი: ციგლერი, ბერთოლდი, ვერლაატი, ტიამი, ლისტეში (მ. შნაიდერი 87), ცაიერი, სოლდო, ბალაკოვი, პოშნერი (როსტი 75), აკპობორი, ბობიჩი (ბლესინი 68)
გაფრთხილება: ბაუმანი, ბერთოლდი, ლისტეში, ტიამი, ბლესინი, შნაიდერი, აკპობორი
გაძევება: შნაიდერი (90)
მსაჯი: ვებერი

შაბათს „ბაიერნმა“ შური იძია — „კაიზერსლაუტერნი“ „ოლიმპიაშტადიონზე“ 4:0 გაანადგურა. როგორც ჩანს, ბავარელები ამ დღეს დიდ ხანს ელოდნენ. გასულ სეზონში, გარდა იმისა, რომ „ლაუტერნმა“ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს ჩემპიონის კუთვნილი სინი აართვა, პირად შეხვედრებში ორჯერ მოუგო: მიუნხენში 1:0, ხოლო საკუთარ მინდორზე 2:0 დაამარცხა მრისხანე მეტოქე. ახლა კი ვითარება შეიცვალა. „კაიზერსლაუტერნს“ ისევ ოტო რეჰაგელი უდგას სათავეში, შემადგენლობაც თითქმის იგივე ჰყავს, მაგრამ შარშანდელი გუნდის აჩრდილიც არ არის. ტყუილად არ უთქვამთ, დრონი მეფობენ და არა მეფენიო.

მატჩი საკმაოდ დუნედ დაიწყო, თამაშიც თანაბარი ჩანდა, მაგრამ შემდეგ თანდათან მასპინძლებმა ტემპს ნელნელა მოუმატეს და მალე ცხადი გახდა, რომ „ბაიერნი“ იმ დღეს სამ ქულას არ დაკარგავდა. უკვე მე-10 წუთზე ელბერმა მეტოქეს შეცდომა დააშვებინა, ბურთი აართვა და უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბასლერი მოძებნა. მეკარესთან პირისპირ დარჩენილ „სუპერმარიოს“ რაინკეს გაბითურება არ გასჭირვებია. ამის შემდეგ თამაში ოდნავ დაწყნარდა. „კაიზერსლაუტერნი“ კი უტევდა, მაგრამ სახეიროს ვერაფერს ქმნიდა. „ბაიერნი“ კი მწვავედ იჩხლიტებოდა. მან ყველაზე სახიფათო მომენტი 37-ე წუთზე შექმნა. ელბერმა კარის წინ მყოფ ეფენბერგს დაუგორა ბურთი, მაგრამ ამან მეკარეს ვერ ააცილა. ტაიმის მიწურულს სტუმრები რეალურად პირველად დაემუქრნენ მასპინძელთა კარს. ერთ დროს „მანჩესტერ სიტის“ ბომბარდირმა უვე როსლერმა ბალაკის კარგი თავური პასი ვერ გამოიყენა, ახლოდან დარტყმული კანმა აუღო. სამაგიეროდ, საპასუხო კონტრშეტევისას „ბაიერნის“ ირანელმა ლეგიონერმა ალი დაეიმ ბრაზილიელ ელბერს გაუთამაშა ბურთი და ცაციათი ლამაზი მოჭრილი დარტყმით ანგარიში გაზარდა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლებმა კიდევ ორი გოლის გაიტანა მოახერხეს. ეს ორჯერვე ბრაზიელმა ფორვარდმა ჯოვანი ელბერმა გააკეთა. 51-ე წუთზე მარიო ბასლერის უძლიერესი დარტყმა ძელს მოხვდა, იქიდან ასხლეტილს კი ელბერმა დაამატა. სამი წუთის შემდეგ ლისარასუს დარტყმა რაინკეს გაუვარდა, მაგრამ ბურთთან პირველი კვლავ ბრაზილიელი გაჩნდა და სტუმრები მეოთხედ დაამწუხრა. ამ ორ გოლს შორის სტუმარ ბალაკსაც შეეძლო თავის გამოჩენა — „ბაიერნი“ ძელმა იხსნა. მალე ელბერს ჰეთ-თრიქის შესრულების შანსი მიეცა, მაგრამ ამჯერად, ზუსტად ვეღარ დაამატა. ამის მერე მასპინძლები მოდუნდნენ და უპირატესობა მთლიანად „ლაუტერნს“ დაუთმეს. თუმცა სტუმრებმა ამით ვერ ისარგებლეს. ოლივერ კანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თურქეთის ნაკრებთან დროებითი ჩავარდნა ჰქონდა და ჯერ კიდევ არ არის ჩამოსაწერი. ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ბარსელონას“ წინააღმდეგ იგი შეუდარებელი გახლდათ, „ბაიერნის“ გამარჯვებაშიც ლომის წილი დაიდო. შაბათს კი „კაიზერსლაუტერნს“ დაუდგა მედგრად და პრესტიჟის გოლი არ გაატანინა.

თამაშის შემდეგ ოტო რეჰაგელი ერთობ გაწბილებული ჩანდა. „ბაიერნმა“ გაგვანადგურა, იგი 4:0 მოგებას იმსახურებდა, ჩვენ კი ასეთი თამაშით ტიტულის დაცვა ძალიან გაგვიჭირდება. შეიძლება ითქვას, ეს არარეალურია. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, ერთადერთი, რითაც თავის გამართლება შეგვიძლია, ტრავმებია“. ისე, რეჰაგელი მართალიცაა — ბევრი ტრავმის გამო „კაიზერსლაუტერნს“ ბუნდესლიგაში ლაზარეთს უწოდებენ. ამ მატჩშიც გუნდს ხუთი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მათ შორის, მთავარი გოლეადორი ოლაფ მარშალიც.

„ბაიერნმა“ კი ეს გამარჯვება თავის პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერს მიუძღვნა, რომელიც იმ დროს, როცა ბავარიელები „ლაუტერნს“ ანადგურებდნენ, ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ვიცეპრეზიდენტად აირჩიეს.

თანაქალაქელებთან სამქულიანი სხვაობის შენარჩუნება ვერ შეძლო „მიუნხენ 1860“-მა, რომელიც ლევერკუზენს სტუმრობდა. „ბაიერთან“ მიღწეული ფრე მიუნხენელებს უფრო აქტივში ეთვლებათ, მით უმეტეს, 87-ე წუთამდე აგებდნენ მატჩს. კირსტენის მიერ პენალტით გატანილი გოლი კი თამაშის მიწურულს ექსვერდერელმა ჰობშმა გაქვითა. ლევერკუზენელებს მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეეძლოთ მატჩის ბედის გადაწყვეტა, მაგრამ ორჯერ კირსტენმა და ჰაპემ ძალიან ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. თავის მხრივ, ვინკლერს და სტევიჩსაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ ვერც მათ ივარგეს.

„შტუტგარტმა“ ნიურნბერგში პირველ ტაიმში მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა მეორეში ქარს გაატანა. სტუმართაგან ორივე გოლი ფრედი ბობიჩმა გაიტანა, ხოლო მასპინძელთაგან ჯერ კუკამ გამოიჩინა თავი, 67-ე წუთზე კი ტოიბერმა გაათანაბრა ანგარიში. ამ შეხვედრაში ერთი ანტირეკორდიც დამყარდა. 87-ე წუთზე „შტუტგარტის“ შემადგენლობაში შნაიდერი გამოჩნდა, რომელმაც იმდენი მოახერხა, დარჩენილ სამ წუთში ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი ნაადრევად დატოვა.

„შტუტგარტს“ მიბაძა როსტოკის „ჰანზამ“, რომელმაც „შალკესთან“ ორბურთიანი სხვაობა გაანიავა. არადა, 81-ე წუთამდე მასპინძლები 2:0 იგებდნენ. მერე კი მაქსმა და ვოლფმა ოთხწუთიანი ინტერვალით ანგარიში გაათანაბრეს.

ყველასათვის მოულოდნელად, სტუმრად მოიგო ერთ-ერთმა აუტსაიდერმა მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“. გლადბახელებმა „ბოხუმს“ სძლიეს 2:1. პფლიპსენის გოლი რაისმა მალევე გაქვითა, ტაიმიც ფრედ 1:1 დასრულდა. მეორე ნახევრის დაწყება და გოლის გასვლა ერთი აღმოჩნდა. გადამწყვეტი ბურთი შინდცილორცმა შეაგდო.

ალექსანდრე იაშვილისა და ლევან კობიაშვილის „ფრაიბურგს“, ეტყობა, საკუთარი გულშემატკივრის ფრაიბურგში გახარება კიდევ კარგა ხანს არ უწერია. მასპინძლებმა ამჯერად „დორტმუნდთან“ ვერ შეძლეს სამი ქულის მოპოვება და ფრეს დასჯერდნენ შემადგენლობაში კვლავ არ უთამაშია იაშვილს, რომელსაც ორი კვირაა, ტრავმა აწუხებს. მის არყოფნაში ბაია გამოირჩა, რომელმაც თავისიანები ჯერ დააწინაურა, მოგვიანებით კი წაგებისგან იხსნა. კობიაშვილს ამ მატჩში თავი არაფრით გამოუჩენია.

**ვანო ოქროპირიძე**



ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი. კოხი ელბერს (№9) მეორე სართულზე კი გაუმკლავდა, მაგრამ პირველზე ვერაფერი მოუხერხა

REUTERS ფოტოქრონიკა

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 9 | 8 | 1 | 0 | 27:8 | +19 | 25 | 5 | 4 | 1 | 0 | 20:7 | +13 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 7:1 | +6 | 12 |
| 2 | მიუნხენ 1860 | 9 | 6 | 2 | 1 | 19:9 | +10 | 20 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | +4 | 9 | 5 | 3 | 2 | 0 | 11:5 | +6 | 11 |
| 3 | ლევერკუზენი | 9 | 4 | 4 | 1 | 17:12 | +5 | 16 | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | +3 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:5 | +2 | 8 |
| 4 | ჰამბურგი | 9 | 4 | 4 | 1 | 14:10 | +4 | 16 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | +5 | 11 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | -1 | 5 |
| 5 | ჰერტა | 9 | 4 | 2 | 3 | 13:11 | +2 | 14 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | +8 | 12 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | -6 | 2 |
| 6 | ფრაიბურგი | 9 | 3 | 5 | 1 | 13:11 | +2 | 14 | 5 | 0 | 4 | 1 | 5:7 | -2 | 4 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | +4 | 10 |
| 7 | ბოხუმი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:10 | +1 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | +1 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 |
| 8 | დორტმუნდი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:11 | +2 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | +4 | 9 | 5 | 0 | 3 | 2 | 5:9 | -4 | 3 |
| 9 | შტუტგარტი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:10 | +2 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | +4 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | -2 | 5 |
| 10 | ლაუტერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:18 | -6 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | +1 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:7 | -4 | 5 |
| 11 | ნიურნბერგი | 9 | 2 | 5 | 2 | 14:16 | -2 | 11 | 5 | 0 | 4 | 1 | 5:9 | -4 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | +2 | 7 |
| 12 | დუისბურგი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:16 | -5 | 10 | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | +3 | 9 | 4 | 0 | 1 | 2 | 4:12 | -8 | 1 |
| 13 | შალკე 04 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:14 | -6 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | -4 | 5 |
| 14 | ვოლფსბურგი | 9 | 1 | 5 | 3 | 11:13 | -2 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | -1 | 5 | 4 | 0 | 3 | 1 | 6:7 | -1 | 3 |
| 15 | ჰანზა | 9 | 2 | 2 | 5 | 12:20 | -8 | 8 | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | +2 | 8 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | -10 | 0 |
| 16 | აინტრახტი | 9 | 1 | 3 | 5 | 11:17 | -6 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | -1 | 4 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 2 |
| 17 | ვერდერი | 9 | 1 | 2 | 6 | 12:17 | -5 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 6:9 | -3 | 1 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 4 |
| 18 | გლადბახი | 9 | 1 | 2 | 6 | 12:19 | -7 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 4 | 5 | 0 | 1 | 4 | 6:13 | -7 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ელბერი (ბაიერნი) | 8 |
| მარშალი (ლაუტერნი) | 7 |
| ვინკლერი (მიუნხენი) | 7 |
| პრეეტცი (ჰერტა) | 6 |

**X ტური**

30 ოქტომბერი
ვერდერი - დუისბურგი
ლაუტერნი - ჰანზა
31 ოქტომბერი
აინტრახტი - ბაიერნი
შალკე - ფრაიბურგი
დორტმუნდი - ჰამბურგი
შტუტგარტი - ბოხუმი
გლადბახი - ლევერკუზენი
მიუნხენი - ვოლფსბურგი
1 ნოემბერი
ჰერტა - ნიურნბერგი

## მეორე ბუნდესლიგა

X ტური

**კოტბუსი 2:2 მაინცი**
1:0 რატი (8), 1:1 კრამნი (19), 2:1 ჰოსმანგი (90), 2:2 ჰერსბერგერი (90)

**კიკერსი 2:2 არმინია**
0:1 ვინკლერი (10ს.კ.), 1:1 მალხოვი (67), 2:1 სალერი (69), 2:2 ბალუშინსკი (75)

**ობერჰაუზენი 2:2 ულმი**
0:1 ზდრილიჩი (26), 1:1, 2:1 პრიოპერი (47, 73), 2:2 გორა (76)

**დიუსელდორფი 1:3 უნტერჰახინგი**
0:1 რაკლი (9), 0:2 ზეილერი (13), 1:2 ტარე (68პ), 1:3 სეიტცი (70)

**ფიურტი 2:1 ვატენშაიდი**
1:0 რისტუ (63ს.კ.), 2:0 კლეე (69), 2:1 ფეინბიერი (78პ.)

**ბერლინი 3:2 კარლსრუე**
1:0 არაჩიჩი (10), 2:0 კოვაჩეჩი (26), 2:1 კრეიგი (29), 3:1 ჰამანი (42), 3:2 გუიე მეინი (52)

**ურდინგენი 2:2 კიოლნი**
0:1 გაისმაიერი (23), 1:1, 2:1 ვან დერ ვენი (39, 45), 2:2 შუსტერი (80)

**გიუტერსლო 1:4 ზანქტ პაული**
0:1 ვოლფი (5), 0:2 სელიგერი (20), 1:2 შორობა (30), 1:3 შერცი (88), 1:4 კარაკა (90)

**ფორტუნა 3:0 ჰანოვერი**
1:0 კიროვსკი (62), 2:0, 3:0 იუნგა მუპანი (89, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბერლინი | 11 | 8 | 1 | 2 | 19:10 | 25 |
| ულმი | 11 | 6 | 5 | 0 | 25:13 | 23 |
| უნტერჰახინგი | 11 | 7 | 2 | 2 | 17:9 | 23 |
| არმინია | 11 | 7 | 2 | 2 | 21:14 | 23 |
| ფიურტი | 11 | 7 | 2 | 2 | 17:11 | 23 |
| კარლსრუე | 11 | 6 | 0 | 5 | 23:17 | 18 |
| მაინცი | 11 | 5 | 2 | 4 | 19:17 | 17 |
| ფორტუნა | 11 | 5 | 1 | 5 | 17:18 | 16 |
| კიკერსი | 11 | 5 | 1 | 5 | 10:16 | 16 |
| ჰანოვერი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:13 | 14 |
| კიოლნი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:23 | 14 |
| კოტბუსი | 11 | 3 | 4 | 4 | 15:13 | 13 |
| ზტ. პაული | 11 | 4 | 1 | 6 | 12:16 | 13 |
| ვატენშაიდი | 11 | 2 | 4 | 5 | 8:11 | 10 |
| გიუტერსლო | 11 | 2 | 2 | 7 | 15:21 | 8 |
| დიუსელდორფი | 11 | 1 | 4 | 6 | 13:19 | 7 |
| ობერჰაუზენი | 11 | 1 | 4 | 6 | 8:20 | 7 |
| ურდინგენი | 11 | 1 | 3 | 7 | 10:18 | 6 |

# იტალია

# აძევებენ, გააქვთ, აცილებენ და იძევებენ

## VI ტური

### უდინეზე 1:1 ვენეცია

1:0 ამორუზო (36პ), 1:1 შვო (56)
უდინეზე: ტურჩი, გარგო (ძანკი 75), კალორი, პიერინი, ნავასი (პინედა 62), ჯანიკედა, ვალემი, ბაკინი, პოჯი (სოსა 62), ლოკატელი, ამორუზო
ვენეცია: ტაიბი, კარნაშალი, ბრიოსკი, ლუპი, დელ კანტო, მარანგონი (ბალარინი 83), იაკინი, ვოლპი, პედონე, დე ფრანჩესკი (მანიერო 54), შვო (ვალტოლინა 80)
გაფრთხილება: პიერინი, გარგო, ბრიოსკი, მარანგონი
მსაჯი: ბრასკი

### სამპდორია 3:0 ემპოლი

1:0 პალმიერი (18), 2:0 ორტეგა (70), 3:0 პალმიერი (72)
46-ე წუთზე ორტეგამ ვერ გაიტანა პენალტი.
სამპდორია: ფერონი, საკიჩი, მანინი, გრანდონი, ლასისი, ფრანჩესკეტი, პეკია (იაკოპინო 76), ფიკინი (სგრო 66), პალმიერი, ორტეგა, ლაილი
ემპოლი: სარენი, ფუსკო, ბიანკონი, კუპი, ტონეტო, პანე (დანტონი 82), ლუკენტი, ბიზოლი, ზალაიეტი (კარპარელი 60), ბონომი (დი ნაპოლი 46), მარტუშელი
გაფრთხილება: ფუსკო, ბიზოლი, საკიჩი, ფრანჩესკეტი
მსაჯი: ჩეკარინი

### ბოლონია 3:1 პიაჩენცა

1:0 ნერვო (51), 2:0 კ. ანდერსონი (55), 2:1 მანგონე (58), 3:1 კ. ანდერსონი (78)
ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი, ბია, მანგონე, ტარანტინო, ბინოტო (კაპიოლი 64), ინგესონი, მაროკი, ნერვო (კოლივანოვი 85), კ. ანდერსონი, სინიორი (ფონტოლანი 79)
პიაჩენცა: ფიორი, ლუკარელი, ლამაში, დელი კარი, პოლონია, ბუზო (დიონიჯი 64), კასტალინი (პიოვანი 69), მაცოლა, მანიგეტი, ინძაგი (საკეტი 38), რასტელი
გაფრთხილება: პარამატი, ინგესონი, ბია
გაძევება: ლამაში (37)
მსაჯი: როდომონტი

### პერუჯა 2:1 პარმა

0:1 კიეზა (1), 1:1 რაპაიჩი (10), 2:1 ბუჩი (28)
პერუჯა: როკატი, ზე მარია, მატრეკანო, რივასი, კოლონელო, პეტრაკი (სოლანო 63), ოლივე, კამპოლო (ტოდესკო 82), რაპაიჩი, ნაკატა, ბუჩი (მელი 55)
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი, ვანოლი (ორლანდინი 46), ვერონი (სტანიჩი 72), კიეზა, კრესპო (ბალბო 55)
გაფრთხილება: ვერონი, სარტორი, კანავარო, როკატი
მსაჯი: ბორიელო

### იუვენტუსი 1:0 ინტერი

1:0 დელ პიერო (87პ)
იუვენტუსი: პერუცი, იულიანი (მირკოვიჩი 77), ტუდორი, მონტერო, დი ლივიო, ტაკინარდი, დეშამი (კონტე 88), დავიდსი, ზიდანი, ინძაგი (პესოტო 90), დელ პიერო
ინტერი: პალიოკა, ბერგომი, ვესტი, გალანტე, სილვესტრი (ძანეტი 38), ვინტერი, კოე, სოუზა, პირლო (მორიერო 64), ვენტოლა (სამორანო 74), რონალდო
გაფრთხილება: მონტერო, დი ლივიო, ვესტი, გალანტე, სილვესტრი, სოუზა, ვინტერი
გაძევება: ზიდანი (49), დავიდსი (92)
მსაჯი: მესინა

### მილანი 3:2 რომა

0:1 დელვეკიო (9), 1:1 ლეონარდო (48), 2:1 ციგე (59), 2:2 დელვეკიო (70), 3:2 ვეა (73)
51-ე წუთზე ტოტიმ ვერ გაიტანა პენალტი
მილანი: როსი, ნგოტი, კრუზი, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი (ამბროზინი 46), ბობანი, ციგე, ვეა (აიალა 82), ბირჰოფი, ლეონარდო (მორფეო 78)
რომა: კიმენტი, ალდაირი, პეტრუცი, ძაგო (დ. კონტი 80), ვომე, ტომიჩი (ბარტელტი 80), ტომაზი, დი ფრანჩესკო, პაულო სერჟიო, დელვეკიო, ტოტი
გაფრთხილება: ტომაზი, ჰელვეგი, ვომე, ვეა, როსი
გაძევება: ბობანი (81), დ. კონტი (92)
მსაჯი: კოლინა

### ლაციო 1:1 ვიჩენცა

0:1 სკენარდი (30), 1:1 მანჩინი (54)
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი, კონსეისაო, ვენტურინი (ბარონიო 53), ალმეიდა, სტანკოვიჩი, იანუცი (გოტარდი 63), მანჩინი
ვიჩენცა: ბრივიო, დილიზო, სტოვინი, ბელოტი (დიკარა 37), მორაბიტო, სკენარდი (ბეგეტო 78), დი კარლო, მენდესი, ამბროზეტი, ძაული, ოტერო (მელოზი 68)
გაფრთხილება: მენდესი, ბელოტი, ბარონიო, დილიზო, ბრივიო, ალმეიდა
მსაჯი: რაკალბუტო

### ფიორენტინა 4:0 სალერნიტანა

1:0 ედმუნდო (50), 2:0 ბატისტუტა (69), 3:0 ედმუნდო (89), 4:0 ბატისტუტა (91)
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ტორიჩელი, რეპკა, ჰაინრიხი, ტაროცი (ბეტარინი 84), ამორუზო (ბიჯიკა 73), რუი კოშტა, ოლივეირა (რობიატი 81), ედმუნდო, ბატისტუტა
სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი (ამეტრანო 65), ფრეზი, მონაკო, დელ გროსო, გატუზო, ბრედა, ვანუჩი, დი ვაიო, ბელმონტე (კიანეზე 74), ჯანპაოლო (ფუსკო 13)
გაფრთხილება: ვანუჩი, ტორიჩელი, ამორუზო, პადალინო, გატუზო
გაძევება: მონაკო (11)
მსაჯი: ტრანტელანგი

### კალიარი 3:3 ბარი

1:0 მუცი (42), 1:1 ანდერსონი (44პ), 2:1 მუცი (45), 3:1 დე პატრე (53), 3:2 მასინგა (80), 3:3 ძამბროტა (82)
კალიარი: სკარპი, ძანონკელი, გრასადონია, ძებინა, ბერეტა, ვაზარი, ონილი (კავეცი 91), დე პატრე, მაკელარი, მუცი, კალონი (კარუცო 82, მაცეო 90)
ბარი: მანჩინი, დე როსა, ნექროიზი, ინოკენტი (გარსია 46), ბრეშანი, დე ასკენტისი, მარკოლინი, ანდერსონი (ოლივარესი 58), კნუდსენი (სპინეზი 48), ძამბროტა, მასინგა
გაფრთხილება: მარკოლინი, ინოკენტი, გრასადონია, ვაზარი, დე პატრე
გაძევება: მარკოლინი (85)
მსაჯი: ბოლონინო

ტურინის „სტადიო დელე ალპიზე“ დიდ ფეხბურთს ნისლი ჩამოაწვა. რუხ ამინდში ერთმანეთის პირისპირ ახალი „სკუდეტოს“ ორი მაძიებელი, გასული სეზონის ჩემპიონი „იუვენტუსი“ და ვიცე-ჩემპიონი „ინტერი“ წარდგნენ.

იტალიური ფეხბურთის მოყვარულთ უთუოდ ეხსომებათ ექვსი თვის წინანდელი ამბავი. მაშინაც ეს ორი გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს ჩემპიონის ტიტულს, მაშინაც „დელე ალპიზე“ არკვევდნენ ურთიერთობას „იუვესა“ და „ინტერში“ თავმოყრილი ვარსკვლავები. მაშინ ანგარიში ტურინელმა ალესანდრო დელ პიერომ გახსნა, მერე კი მილანის გუნდის ბრაზილიელი ასი, რონალდო მარკ იულიანომ წააქცია საკუთარ საჯარიმოში, მაგრამ მსაჯმა, პიერო ჩეკარინიმ პენალტი არ დანიშნა.

ჩეკარინის გადაწყვეტილებას მთელი სკანდალი მოჰყვა. „იუვენტუსს“ ყველა მატჩი გაუხსენეს, სადაც რომელიმე არბიტრი მის სასარგებლოდ შემცდარა, ხოლო იტალიელ მსაჯებს „ბებერი ქალბატონის“ სიყვარულში და შიშში დასდეს ბრალი.

ასეთი წინაისტორიით შეხურებული საზოგადოებრიობა ჩემპიონთა ლიგის ორი იტალიელი წარმომადგენლის ახალ საშინაო დაპირისპირებას განსაკუთრებული მღელვარებითა და ინტერესით ელოდა.

კვლავ „იუვენტუსმა“ იძალა, ისევ 1:0 და ერთადერთი გოლი ისევ დელ პიერომ გაიტანა. ეს ამბავი საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე მოხდა: მილანელმა ფაბიო გალანტემ ფილიპო ინძაგი წააქცია და მსაჯმა დომენიკო მესინამ თერთმეტმეტრიანი დარტყმა დანიშნა. „იუვენტუსის“ პენალტისტი დელ პიერო გახლავთ. ალესანდროს, როგორც წესი, პენალტის დარტყმა არ ეშლება, მაგრამ ამჯერად „ინტერის“ გოლკიპერს, თერთმეტმეტრიანი დარტყმების მოგერიებაში გაწაფულ ჯანლუკა პალიუკას იოლად ვერ აჯობა. ბურთი ბადეში შესაგდებად დელ პიეროს პალიუკას მოგერიებულთან მირბენა და განმეორებით დარტყმა დასჭირდა.

„იუვეს“ სასარგებლოდ პენალტის დანიშვნას ამჯერად მითქმა-მოთქმა ველარ მოჰყვა, რადგან მესინა იმდენად ობიექტურად გაუძღვა შეხვედრას, რომ თამაშის ბოლოს მასპინძლებს ცხრა ფეხბურთელიღა დაუტოვა მოედანზე.

არბიტრის პირველი მსხვერპლი მსოფლიოს ჩემპიონი, ფრანგი გამთამაშებელი ზინედინ ზიდანი შეიქნა. მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე ზიდანმა ორი ფეხით იუხეშა ადრე „იუვეს“ მოთამაშის, ამჯერად „ინტერის“ წევრის, პორტუგალიელი პაულუ სოუზას წინააღმდეგ და მესინას ხელში წითელი ბარათი იხილა. მეორე მსხვერპლი გახლდათ ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი, რომელიც მოედანს თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე გამოაკლეს.

ამრიგად, მილანელებს მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. უფრო პირიქით მოხდა, კაცნაკლულად დარჩენილი ტურინელები მეტად შეკავშირდნენ და ისე ითამაშეს, როგორც გასული, საჩემპიონო სეზონის საუკეთესო შეხვედრებში.

ზოგადადაც ვერ დატოვეს მილანელმა „შავ-ლურჯებმა“ იმ გუნდის შთაბეჭდილება, „დელე ალპიზე“ გამარჯვებისთვის რომ ჩავიდოდა. ალბათ ჯიჯი სიმონი და მისი ვარსკვლავები წინა ტურში, შინ, „ლაციოსთან“ წაგებამ ისე დააფრთხო, რომ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ტურინში მოგებაზე ველარ იფიქრეს. მათთვის მთავარი იყო ზედიზედ მეორედ არ დამარცხებულიყვნენ და სწორედ ამიტომ დამარცხდნენ.

ორივე ტაიმის განმავლობაში ბურთს უპირატესად მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა მათი მოქმედების მთავარი წუნი დამაბოლოვებელი ფაზა გახლდათ. მეორე წუთზე ინძაგის, მოწინააღმდეგის მეკარის ბაქანში ებოძა ბურთი, რომელიც ლამის ემუდარებოდა ბადეში შემაგდეო, მაგრამ თავდამსხმელს პალიუკამ აჯობა. გამოხდა შვიდი წუთი და საჯარიმოში, ცოტა მარცხნიდან, დელ პიერო შეიჭრა, მაგრამ პოზიცია გაუუარესდა და საბოლოოდ მისი დარტყმული პალიუკამ ახლო ძელთან განსაკუთრებული სირთულის გარეშე მოიგერია. მერე, მე-19-ზე დელ პიერომ ჯარიმიდან ბურთი ზიდანს ჩაუკიდა, ფრანგმა შეუჩერებლივ დაარტყა — ისევ პალიუკა. შესვენების შემდეგ მარკ იულიანომ გაისროლა ძლიერად. ალბათ, აღწერის გარეშეც გასაგებია, რომ ბურთი პალიუკამ მოიგერია.

თამაშის ბოლოს, მილანელებმა ანდრეა პირლომ და ბენუა კოემ მოახერხეს მასპინძელთა კართან ხიფათის შექმნა, მაგრამ ანჯელო პერუციმ იყოჩაღა. 58-ე წუთზე პერუციმ იმავე პირლოს დარტყმული ჯარიმაც მოიგერია.

„ინტერთან“ მოგებამ „ბებერი ქალბატონი“ მეორე ადგილზე აიყვანა, ლიდერმა, „ფიორენტინამ“ კი „სალერნიტანას“ ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა და მორიგი სამი ქულა მიითვალა. ოთხიდან ორი ბრაზილიელმა ედმუნდომ შეაგდო, ორი — არგენტინელმა გაბრიელ ბატისტუტამ.

საგულისხმოა, რომ შესვენებაზე გუნდები უგოლოდ გავიდნენ. გასახდელიდან მობრუნების შემდეგ კი, მას მერე, რაც სტუმართა მცველი სალვატორე მონაკო ედმუნდოს წინააღმდეგ უხეშობისთვის მოედნიდან გააძევეს, ფლორენციელებმა გოლთა ფეიერვერკი მოაწყვეს.

— ძალიან ბევრ დიდ ჩემპიონს გავლია ჩემს ხელში და შემიძლია განვაცხადო, რომ ეს ორი თავდამსხმელი საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს განეკუთვნებიან — მატჩის შემდეგ „ფიორენტინას“ მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ ედმუნდოსა და ბატისტუტას ქება არ დაიზარა.

როგორც ჩანს, გამოცდილმა სპეციალისტმა უკვე მოაგვარა ურთიერთობა ედმუნდოსთან, რომელმაც წინა ტურში შეცვლის გამო მას დიდი ჩხუბი აუტეხა. ტრაპატონიმ ისიც აღიარა, რომ ფლორენციული გოლების თქეში მეტოქის მცველის გაძევებამ განაპირობა.

— ეს ჯერ კიდევ არ არის ისეთი „მილანი“, მე რომ ვაშენებ, მაგრამ თავდადებას ვერავინ დაგვიწუნებს. ჩვენი კულუარის პრობლემები უკვე მოგვარებულია. ვეა რომ დამშვიდდა და გული მოუბრუნდა, თამაშიდანაც კარგად ჩანდა — ეს გახლავთ „მილანის“ ახალი თავკაცის ალბერტო ძაკერონის ნათქვამი „რომასთან“ 3:2 გამარჯვების შემდეგ.

რომაელებს ვერგატანილ პენალტსა და სამ საგოლე მომენტზე მოუწევთ დაფიქრება. სამივეჯერ ბურთი ძელს მოხვდა.

ფიქრი, თანაც სერიოზული, მოუწევთ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გამომძიებლებსაც. ისინი „სამპდორიასა“ და „ემპოლის“ შეხვედრის ამბებს უნდა ჩაუსხდნენ. მავანი, ჯერ უცნობი პიროვნება, შეხვედრის არბიტრის სტეფანო ფარინის მატჩის წინა დღეს ეწვია და „ემპოლის“ სასარგებლო სჯაზე დაუწყო საუბარი. ფარინიმ ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა ფედერაციას. რის შედეგადაც იგი სათადარიგო მსაჯმა პიერო ჩეკარინიმ შეცვალა. რაზე იყო საუბარი უცნობის და ფარინის შეხვედრის დროს, უფრო ვრცლად არ არის ცნობილი.

— არ ვიცი, ვიცინო თუ ვიტირო. ჩემთვის არაფერია ცნობილი. ჩვენ 0:3 წავაგეთ, წარმოიდგინეთ რა დღეში ვართ — განაცხადა „ემპოლის“ გენერალურმა დირექტორმა ფაბრიციო ლუკეზიმ.

**ბაკუნა ბედია**



იუვენტუსი — ინტერი. მავანთა მიერ შერისხულმა ალესანდრო დელ პიერომ (№10) გადამწყვეტი გოლი გატანა



მილანი — რომა. ალდაირი (თეთრ მაისურში), ისევე როგორც ყველა დედაქალაქელი საათნახევრის მანძილზე ებრძოდა ჟორჟ ვეასა და სხვა მილანელებს, მაგრამ საბოლოო ჯამში მათი შრომა ფუჭი გამოდგა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ფიორენტინა | 6 | 5 | 0 | 1 | 13:4 | +9 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | +7 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | +2 | 6 |
| 2 | იუვენტუსი | 6 | 4 | 1 | 1 | 8:5 | +3 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 |
| 3 | მილანი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:7 | +4 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | +2 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | +2 | 6 |
| 4 | ლაციო | 6 | 2 | 4 | 0 | 11:7 | +4 | 10 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | +2 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 8:6 | +2 | 5 |
| 5 | რომა | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | +3 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | +5 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 1 |
| 6 | ინტერი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | +1 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | +1 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 |
| 7 | უდინეზე | 6 | 2 | 3 | 1 | 9:6 | +3 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | +2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | +1 | 4 |
| 8 | პარმა | 6 | 2 | 3 | 1 | 4:2 | +2 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | +3 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | -1 | 2 |
| 9 | კალიარი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:8 | +3 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 11:5 | +6 | 8 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 10 | პერუჯა | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | -1 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:7 | +1 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -1 | 1 |
| 11 | სამპდორია | 6 | 2 | 2 | 2 | 9:13 | -4 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | +4 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:11 | -8 | 1 |
| 12 | პიაჩენცა | 6 | 2 | 1 | 3 | 8:7 | +1 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | +5 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | -4 | 0 |
| 13 | ბარი | 6 | 1 | 4 | 1 | 5:5 | 0 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | +1 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 14 | ვიჩენცა | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | -2 | 2 |
| 15 | ბოლონია | 6 | 1 | 3 | 2 | 4:7 | -3 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 0:3 | -3 | 2 |
| 16 | ემპოლი | 6 | 0 | 3 | 3 | 2:8 | -6 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | -1 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 |
| 17 | ვენეცია | 6 | 0 | 2 | 4 | 1:7 | -6 | 1 | 2 | 0 | 1 | 2 | 0:2 | -2 | 1 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | -4 | 1 |
| 18 | სალერნიტანა | 6 | 0 | 1 | 5 | 3:14 | -11 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | -10 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 8 |
| ამოროზო (უდინეზე) | 6 |
| ბირჰოფი (მილანი) | 6 |
| ვენტოლა (ინტერი) | 5 |
| დელვეკიო (რომა) | 5 |

### VII ტური

1 ნოემბერი

ემპოლი - პერუჯა
ინტერი - ბარი
ვიჩენცა - კალიარი
იუვენტუსი - სამპდორია
პარმა - ფიორენტინა
პიაჩენცა - მილანი
რომა - უდინეზე
სალერნიტანა - ლაციო
ვენეცია - ბოლონია

## საფრანგეთი

X ტური

**ბორდო 2:0 ნანსი**

1:0, 2:0 ლასლანდი (26, 90)

**მარსელი 4:0 სოშო**

1:0 რავანელი (43), 2:0, 3:0 კამარა (55, 70), 4:0 რავანელი (89)

**რენი 1:0 ლორიანი**

1:0 ნონდა (11)

**ოსერი 1:0 ლიონი**

1:0 მარლე (36)

**მეცი 1:0 მონაკო**

1:0 როდრიგესი (31.3)

**ნანტი 0:0 პსჟ**

**მონპელიე 1:0 ლანსი**

1:0 მაულიდა (57)

**ბასტია 0:0 სტრასბური**

**ლე ავრი 0:0 ტულუზი**

# ისტორიული ტური

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-10 ტური ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს — ცხრა სტუმარი გუნდიდან არც ერთმა შეძლო გოლის შეგდება. ამასთანავე, მასპინძლებმაც ოდენ 10 ბურთის გატანა მოახერხეს. მხოლოდ „მარსელმა" დალაშქრა ოთხჯერ მეტოქის კარი და ტურის საშუალო შედეგიანობა ოდნავ აამაღლა. ბრეტონულ დერბიში „რენმა" სამი ქულა აიღო და მესამე ადგილზე დამკვიდრდა, რაც წლევანდელი ჩემპიონატის მთავარი მოულოდნელობაა. „მონაკო", ვინაც „მეცს" პირველმა „მიულოცა" პირველი გამარჯვება, მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა, ზუსტად „ლიონის" მძლეველი „ოსერის" უკან. ქვეყნის ჩემპიონმა „ლანსმა" სეზონის მეოთხე მარცხი განიცადა, რითაც საკმაოდ გაირთულა საქმე ევროთასურებისთვის ბრძოლაში. „ლე ავრმა" ვერაფერი მოუხერხა თავისივით მაჩანჩალა „ტულუზს", ისევე როგორც ახალმწვრთნელგამოცვლილმა „ბასტიამ" „სტრასბურს". კორსიკელთა ახალი თავკაცი კი ლორან ფურნიე გახდა, რომელიც წელს როგორც ფეხბურთელი, კუნძულელებმა პსჟ-სგან იყიდეს. ტურის მესამე ნულოვანი ფრე კი „ნანტი" — „პსჟ-ს თამაშში დაფიქსირდა. ახლა უფრო დაწვრილებით ზოგიერთი მატჩის შესახებ.

დავიწყოთ ლიდერით. „ბორდო" ლასლანდს უნდა უმადლოდეს მოპოვებულ სამ ქულას. შეხვედრაში მასპინძლებმა ორად ორი სახიფათო მომენტი შექმნეს და ლასლანდმა ორივე გოლად აქცია. მთელი 90 წუთის განმავლობაში ჟირონდელებს ვერ იცნობდით, ბოლო რვა დღეში ეს მათი მესამე მატჩი იყო და, ალბათ, დაღლილობამ თავისი ქნა. მძიმედ, ალმაფრენის ...რეში მოთამაშე ბორდოელები გამარჯვებას ვერ ეღირსებოდნენ, რომ არა მათი მეკარე რამე და ფორტუნა, რომელმაც ლოტარინგიელებს ზურგი აქცია. ლამაზი თამაშის გარეშე მოგება დიდი გუნდების თვისებაა, „ბორდოც" მათ რიგებშია ჩასაწერი. მატჩის დაწყებისას ჟირონდელებს ერთი მიზანი ჰქონდათ — გამარჯვება, რადგან ერთი დღით დაკარგული ადგილი გათამაშების ცხრილის სათავეში („მარსელმა" მათზე ერთი დღით ადრე ითამაშა) დაებრუნებინათ. თუმცა პავონისა და ბენარბიას გარეშე მათი შუახაზი მეტად უსუსურად გამოიყურებოდა და მთელი გუნდის თამაშსაც ამუხრუჭებდა. თითქმის ნახევარი დრო ისე გავიდა, მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა. აქ კი უეცრად ლასლანდმა გაიბრწყინა. მისი პასის შემდეგ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ვილტორდის დარტყმა მეკარემ მოიგერია, მაგრამ დამატება ლასლანდმავე მოახერხა და თავისიანებიც წინ გაიყვანა. მაგრამ მასპინძლების დაცვა საკმაო ...რგილოდ ირჯებოდა და ერთ მომენტში მათი შეუთანხმებელი მოქმედებით „მოხუცმა" ირლანდიელმა კასკარინომ კინაღამ იხეირა. მისი დარტყმა მეკარემ მოიგერია. მეორე ტაიმშიც „ნანსის" ...რო მეტი მომენტი ჰქონდა, თუმცა ...ც ვერ გაიტანა. მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში კი ფერიეს ოციოდე მეტრიდან უძლიერესი დარტყმული რუმ... ლასლანდის მიმართულებით მოი...ა და თავდამსხმელსაც დუბლის შედგენა არ გასჭირვებია.

...ტი კამარა წლეულს პირველად მო...ა ძირითად შემადგენლობაში და მა...ს იმედი არ გაუცრუა „ველოდრომზე" შეკრებილ 50 ათას მაყურებელს. 32-ე წუთზე მისი ულამაზესი მაკრატელა ფერნანდესმა ძლივს მოიგერია, თუმცა მარსელელმა დუბლის გაკეთება მაინც მოახერხა. „ეს ჩემთვის უდიდესი სიხარულია, რადგან უკანასკნელად ერთ მატჩში ორი გოლის გატანა 1996-97 წწ სეზონში შევძელი „გენგამის" წინააღმდეგ („ლანსი" 2:1 „გენგამი"). მინდა დავამტკიცო, რომ უბრალო ჯოკერზე მეტი ვარ. „მარსელში" თავიდან გამიჭირდა, მაგრამ კორსიკაზე მოგების შემდეგ ჩემი ძალები ვირწმუნე და თამაშიც იმის მერე უკეთესად წამივიდა" — თქვა ექსლანსელმა. 24 სექტემბერს „ბასტიასთან" გამარჯვების შემდეგ კამარამ მხოლოდ ორი მატჩი ითამაშა „მარსელის" შემადგენლობაში და ორჯერვე „ტულუზთან" და „სტრასბურთან", შეცვლაზე გავიდა. „აქ ძირითადში ადგილი მხოლოდ ორ ან სამ ფეხბურთელს აქვს დაბევებული. მეც მთელი ძალით ვცდილობ მძიმე კონკურენციას გავუძლო" — თვალებზე სიხარულისგან ცრემლიც კი მოადგა ტიტის. შაბათ საღამოს ანგარიში რავანელიმ გახსნა თავურით, გურვენეკის ჯარიმიდან ჩაწოდების შემდეგ. 55-ე წუთზე ბლანის გრძელი გადაცემა კამარამ მკერდზე მიიღო და ძირს დაუშვებლად მეტად ეფექტური გოლი გაიტანა. თხუთმეტ წუთში კვლავ მან გამოიყენა პირესის პასი. ხოლო მატჩის ბოლოს კამარას ქუსლით პასის შემდეგ უკვე იტალიელმა შეაგდო თავისი მეორე გოლი. „ველოდრომმაც" გარჯა დაუფასა კამარას და თამაშის შემდეგ ყველამ მისი სახელის სკანდირება დაიწყო — „ტიტი! ტიტი!"

მეზობელი „ლორიანის" დამარცხების შემდეგ ლე გუენის შეგირდებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მესამე ადგილზე აინაცვლეს, რასაც ნაღდად არავინ ელოდა ჩემპიონატის დასაწყისში. თავიდან სტუმრებმა შეუტიეს, თანაც ქარი მათი მოკავშირე იყო, მაგრამ რევოს კარებს მიახლოებულები თავიანთ სათამაშო უპირატესობის გოლად გარდაქმნას ვერაფრით ახერხებდნენ. „რენმა" კი გოლის გატანა თავისი მეორე კონტრშეტევისასვე მოახერხა. ფერნანდესის ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ ნონდამ ისარგებლა ჰიუგის შეცდომით. „ძალიან დაღლილები ვიყავით და ამიტომაც იყო, რომ სეზონის ყველაზე ცუდი მატჩი ჩავატარეთ შინ, თუმცა შედეგის მიღწევა მაინც შევძელით და მთავარიც ესაა. მესამე ადგილზე ყოფნა კი ძლიერ მიხარია" — განაცხადა ექსპარიზელმა სისემ.

როგორც იქნა, გაიმარჯვა „მეცმაც". „მონაკომ" კი ზედიზე მესამე გასვლითი მატჩი დათმო. ალბათ, ამის ბრალიცაა, რომ არც გუნდის მწვრთნელმა ტიგანამ და არც კაპიტანმა ბარტეზმა არ ისურვეს ჟურნალისტებთან საუბარი. „ეს ძალიან დიდი იმედგაცურებაა ჩვენთვის — თქვა ფრანკ გავამ — ახლა ჩვენი თავი ხელში უნდა ავიყვანოთ და შემდეგ ტურშივე უნდა გავიმარჯვოთ, რათა ლიდერებმა ძალიან არ გაგვისწრონ და უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის განმეორებით მატჩს კარგ განწყობაზე შევხვდეთ." მასპინძლები კი სულ სხვა ხასიათზე იყვნენ. ბრუნო როდრიგესის მიერ გატანილმა თერთმეტმეტრიანმა მათ გამარჯვების გემო გაახსენა. „მაგრად ვიბრძოლეთ და ყველას ვაჩვენეთ, რომ არც მოგების ჟინი დაგვიკარგავს და არც ჩვენი სხვა დადებითი თვისებები" — თქვა გახარებულმა გოლის ავტორმა. თუმც ყველამ იცის, რომ ტიგანას შეგირდებთან მიღწეული ეს პირველი წარმატება წლევანდელ სეზონში მხოლოდ პირველი ნაბიჯია იმ რთულ გზაზე, რომლის ბოლოსაც „მეცის" გადარჩენაა. „თავში არ უნდა აგვივარდეს. მოგების მიუხედავად, მაინც გათამაშების ცხრილის ბოლოში ვართ და სამუშაო კვლავაც საკმაოდ ბევრი გვაქვს" — მეტად რეალისტურად იყო განწყობილი ლოტარინგიელთა გამთამაშებელი ფრედერიკ მერიო. როდრიგეს-ლუკიჩის წყვილის თავდასხმაში და პიერისა და გაიოს დაცვაში დაბრუნება „მეცის" მწვრთნელ ჟოელ მიულერს ოპტიმიზმის საბაბს კი აძლევს, მაგრამ მას არც ის ავიწყდება, რომ მის გუნდს სამი უმძიმესი მატჩი ელის — „ლანსთან" და პსჟ-სთან გასვლაზე (მე-11 და მე-13 ტური) და „ლიონთან" შინ ჭიდილი სახუმარო საქმე ნაღდად არაა.

პირველად დონელიმ მე-12 წუთზე გაიხარა, როდესაც შვედი ჰენრიკ ლარსონის შესანიშნავი გადაცემა მიიღო და ბებერი ჯიმ ლეიტონი უშანსოდ დატოვა. აღსანიშნავია, რომ ლარსონი თითქმის ყველა შეხვედრაში საგოლე პასებით ამარაგებს თანაგუნდელებს. ამ გოლით დონელისთან ერთად სტადიონებზე შეკრებილმა 60 081-მა ქომაგმაც მეტად გაიხარა. სხვათა შორის, ამდენი მაყურებელი მიმდინარე სეზონში ბრიტანეთში არც ერთ მატჩს არ დასწრებია.

სანამ დონელი მეორეს გაიტანდა, სტუმრებს ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი ჰქონდათ, მაგრამ „აბერდინის" საუკეთესო მეგოლეს ეოინ ჯესს გლაზგოელთა მეკარე ჯონათან გოულდმა სასწაულებრივ აუღო.

— მატჩის შემდეგ გასახდელში მთელი გუნდი მშვენიერ ხასიათზე იყო. რა თქმა უნდა, ძლიერ მიხარია, რომ ორჯერ შევაგდე, თუმცა უფრო სასიხარულო და მნიშვნელოვანი ის არის, წარუმატებელი პერიოდი რომ დავძლიეთ და სამი ქულა მოვიპოვეთ — დონელი დადებითი ემოციების დამალვას არც კი ცდილობდა.

ამ გამარჯვების შემდეგ ჩემპიონებმა მესამე ადგილზე აინაცვლეს, თუმცა „რეინჯერსამდე", რომელიც იმ დღეს შოტლანდიის ლიგის თასის ნახევარფინალში „ეარდრენიანსს" ეთამაშებოდა, ჯერ ბევრი უკლიათ — ერთი შეხვედრით მეტი და 4 ქულით ნაკლები აქვთ. ორ გლაზგოურ გრანდს შორის „კილმარნოკია" გამოჩხერილი, არადა, მას დიდი შანსი ჰქონდა, ორივე უკან ჩამოეტოვებინა. ამისთვის „სენტ ჯონსტონისთვის" შინ უნდა მოეგო, მაგრამ მოგება კი არა, ფრეს რომ მიაღწია ღმერთს და ალან კერნაგანს უნდა უმადლოდნენ.

„კილმარნოკი" 78-ე წუთამდე 0:2-ს აგებდა და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მასპინძლებს მსხნელად მარკ რობერტსი მოევლინათ, რომელმაც ჯერ 40 (!) მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა, ხოლო შემდეგ, 83-ე წუთზე ალი მიჩელის ჩაწოდებული ბურთისთვის ისე აქტიურად იბრძოლა, რომ თავის მეურვეს, ზემოხსენებულ კერნაგანს, საკუთარ კარში გაატანინა. ასე მოიპოვა „კილმარნოკმა" ქულა და ახლა ლიდერ „რეინჯერსს" ერთით ჩამორჩება, თანაც თამაშით მეტი აქვს ჩატარებული.

ქვეყნის თასის მფლობელი „ჰართსი", ეტყობა, ვერ ივიწყებს „რეინჯერსთან" განადგურებას 0:3. აბა, სხვას რას უნდა დაბრალდეს საზიზღარი ბურთაობა და საშინაო მარცხი ცხრილის ფსკერის ხშირ სტუმარ „დანდი იუნაიტედთან".



REUTERS ბლოზგოდან

ლიგის თასის ნახევარფინალი. რეინჯერსი — ეარდრენიანსი. რუსმა ანრეი კანჩელსკისმა პოლ ჯეკი დააწვინა, გლაზგოელებმა — ეარდრენიანსი

ერთადერთი გოლი სტუმართა ახალმა შენაძენმა, ბილი დოდსმა, მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე გაიტანა და თავისიანებს მეტად საჭირო სამი ქულა მოუტანა.

რაც შეეხება „დანდისა" და „დანფერმლაინის" არცთუ საინტერესო შეხვედრას, იგი გადაუღებელი წვიმების გამო გადაიდო და სავარაუდოდ ხვალ გაიმართება.

**დავით ქოჩზირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 10 | 6 | 3 | 1 | 17:5 | 21 |
| კილმარნოკი | 11 | 5 | 5 | 1 | 14:7 | 20 |
| სელტიკი | 11 | 4 | 5 | 2 | 18:11 | 17 |
| სტ. ჯონსტონი | 11 | 4 | 4 | 3 | 14:12 | 16 |
| დანდი იუნ. | 11 | 3 | 4 | 4 | 9:11 | 13 |
| ჰართსი | 11 | 3 | 4 | 4 | 10:13 | 13 |
| აბერდინი | 11 | 2 | 4 | 5 | 10:15 | 10 |
| დანფერმლაინი | 10 | 1 | 7 | 2 | 8:13 | 10 |
| დანდი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:13 | 9 |
| მოზერველი | 10 | 2 | 3 | 5 | 5:14 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| უოლესი (რეინჯერსი) | 7 |
| ბარლი (სელტიკი) | 5 |
| ანანდი (დანდი) | 5 |
| ჯესი (აბერდინი) | 5 |

### შოტლანდიის ლიგის თასის ნახევარფინალი

**რეინჯერსი 5:0 ეარდრენიანსი**

1:0 იოჰანსონი (6), 2:0 ფერგიუსონი (34), 3:0, 4:0 უოლესი (72, 77), 5:0 დიური (89)

ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „რეინჯერსი" და „ჰართსი"

**კვიპროსის** ჩემპიონატი. მე-6 ტური. ენოსისი — ანორთოსისი 2:5; აპოლონი — ომონია 1:5; აპოელი — ალკი 4:1; ოლიმპიაკოსი — აელი 0:1; აეკი — ევაგორასი 2:0; არისი — ეთნიკოსი 1:3; ნეა სალამინა — დოქსა 2:0. 16 ქულით ლიდერობენ ანორთოსისი და ომონია.

**უნგრეთის ჩემპიონატი. მე-12 ტური. უპეშტი — ვაშაში 2:0; დებრეცენი — კიშპეშტი 0:2; ბვსც — ჰალადაში 2:1; ზალაეგერცეგი — ნიერშეგი 1:0; ვაცი — ვიდეოტონი 2:1; ფერენცვაროში — დიოშდიორი 3:4; შიოფოკი — კერულეტი 2:1; დიორ ეტო — დუნაფერი 2:1; გაზერი — მტკ 1:3. 29 ქულით ლიდერობს მტკ, მას 4 ქულით ჩამორჩება დიორ ეტო.**

**პოლონეთის** ჩემპიონატი. მე-12 ტური. პოგონი — ლეგია 3:1; ზაგლებიე — რაძიონკოვი 1:2; ლკს — ვისლა 0:3; გურნიკი — ბელხატოვი 1:3; ოდრა — გკს 0:2; პოლონია — ამიცა 4:2; სტომილი — ლეხი 0:2; რუხი — ვიძევი 2:1. 34 ქულით ლიდერობს ვისლა, მას 4 ქულით ჩამრჩება ლეხი.

**იუგოსლავიის ჩემპიონატი. მე-11 ტური. პარტიზანი — რადი 4:0; ოფკ — ცრვენა ზვეზდა 1:1; ობილიჩი — სარტიდი 4:2; მილიციონარი — ვოივოდინა 2:1; პროლეტერი — ბუდუჩნოსტი 1:1; ჰაიდუკი (კულა) — ზემუნი 3:0; რადნიჩკი (ნიში) — რადნიჩკი (კრაგუიევაცი) 2:2; პრისტინა — მოგრენი 6:1; ზელეზნიკი — სპარტაკი 3:1. 33 ქულით ლიდერობს პარტიზანი, მას 6 ქულით ჩამორჩება ობილიჩი.**

**რუმინეთის** ჩემპიონატი. მე-11 ტური. რაპიდი — დინამო 1:4; არჯეში — ნაციონალი 1:0; უნივერსიტატეა (კლუჟი) — ოლიმპია 1:0; ონესტი — ფორესტა 3:1; უნივერსიტატეა (კრაიოვა) — ასტრა 0:0; რესიტა — გლორია 2:0; პეტროლული — ფარული 3:0; ბაკაუ — ჩაჰლაული 0:0; სტიაუა — ოცელული 0:0. 28 ქულით ლიდერობენ დედაქალაქის დინამო და რაპიდი.

### ფეხბურთის რუკასთან

**ბულგარეთის ჩემპიონატი. მე-10 ტური. სლავია — ნეფტოხიმიკი 1:2; ლოკომოტივი (პლოვდივი) — ცსკა 0:0; ლევსკი (კუსტენდილი) — შუმენი 3:0; სეპტემვრი — ბოტევი 2:0; სპარტაკი — ლიტექსი 0:2; დობრუჯა — მინიორი 2:0; ლევსკი (სოფია) — პირინი 5:0; მეტალურგი — ლოკომოტივი (სოფია) 2:1. 23 ქულით ლიდერობენ ლიტექსი და დედაქალაქის ლევსკი.**

**ხორვატიის** ჩემპიონატი. მე-10 ტური. დრაგოვილიაცი — რიეკა 1:0; ოსიეკი — შიბენიკი 4:0; ზადარკომერცი — ჰაიდუკი 1:1; კროაცია — ზაგრები 4:0; ციბალია — სლავენი 1:0. 25 ქულით ლიდერობს კროაცია, მას 4 ქულით ჩამორჩება ჰაიდუკი.

**დანიის ჩემპიონატი. მე-12 ტური. ოლბორგი — ვეილე 4:2; ბ 93 — ბრონდბიუ 1:0; ვიბორგი — ფრემადი 2:4; ჰერფოლგე — კოპენჰაგენი 2:3. 26 ქულით ლიდერობენ ოლბორგი და დედაქალაქის „აბ", რომელსაც ერთი თამაშით ნაკლები აქვს.**

**არგენტინის** ჩემპიონატი. მე-12 ტური. სან ლორენცო — ფერო კარილ ოესტი 2:1; კოლონი — ჰურაკანი 2:0; ტალერესი — უნიონი 1:1; ველესი — ხიმნასია (ლა პლატა) 0:1; არგენტინოს ხუნიორსი — ინდეპენდიენტე 1:1; ესტუდიანტესი — ხიმნასია (ხუხუი) 1:1; როსარიო სენტრალი — ლანუსი 2:0; რასინგი — ნეველს ოლდ ბოისი 2:1; რივერ პლეიტი — ბოკა ხუნიორსი 0:0. 28 ქულით ლიდერობს ბოკა ხუნიორსი, მას 4 ქულით ჩამორჩება ხიმნასია (ლა პლატა).

**ბრაზილიის ჩემპიონატი. 21-ე ტური. ამერიკა (ბელო ორიზონტი) — ატლეტიკო (პარანენსი) 2:1; კორიტიბა — ატლეტიკო (მინეირო) 1:1; კრუზეირო — პალმეირასი 3:1; ფლამენგო — გუარანი 2:1; გოიასი — ჟუვენტუდი 2:2; გრემიო — ამერიკა (ნატალი) 2:1; პონტე პრეტა — ბრაგანტინო 2:2; პორტუგეზა — ინტერნასიონალი 1:1; სანტოსი — პარანა 1:2; სან პაულო — კორინტიანსი 1:2; სპორტ რესიფი — ბოტაფოგო 2:1; ვასკო და გამა — ვიტორია 0:1. 40 ქულით ლიდერობს კორინტიანსი, მას ქულით ჩამორჩება კორიტიბა.**

**ესტონეთის** ჩემპიონატი. მე-14 ტური. ლანტანა — ფლორა 3:3; ნარვა — ლელე სკ 1:0; სადამი — ტულევიკი 3:0; იოვი — ტალინი 0:2. 35 ქულით ლიდერობს ფლორა, მას 1 ქულით ჩამორჩება სადამი.

# სარბიელი
## სპორტული ლატარია
## "CROCO"

**გერმანია.** თასის მერვედფინალი

27 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტუტგარტი — დორტმუნდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბოხუმი — მიონხენგლადბახი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვოლფსბურგი — არმინია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ობერჰაუზენი — ჰამბურგი | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| **28 ოქტომბერი** | | | |
| დუისბურგი — ბაიერნი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| ბერლინი — ჰერტა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ვერდერი — დიუსელდორფი | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| ზიგენი — ურდინგენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| **ინგლისი.** ლიგის თასი. მეთექვსმეტედფინალი | | | |
| **27 ოქტომბერი** | | | |
| ნორვიჩი — ბოლტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ლუტონი — ქოვენთრი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ტრანმერი — ნიუკასლი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ბარნსლი — ბორნემუთი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ჩარლტონი — ლესტერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ნოტინგემი — კემბრიჯი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლივერპული — ფულემი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ნორთჰემპტონი — ტოტენჰემი | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| სანდერლენდი — გრიმსბი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| **28 ოქტომბერი** | | | |
| მიდლსბრო — ევერტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| დერბი — არსენალი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ქრიუ — ბლექბერნი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ლიდსი —ბრედფორდი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ბირმინგემი — უიმბლდონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მანჩესტერი — ბერი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ჩელსი — ასტონ ვილა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **იტალიის თასი.** მერვედფინალი. პირველი მატჩები | | | |
| **27 ოქტომბერი** | | | |
| იუვენტუსი — ვენეცია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| **28 ოქტომბერი** | | | |
| სამპდორია — ბოლონია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ფიორენტინა — ლეჩე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ატალანტა — რომა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| უდინეზე — ვიჩენცა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბარი — პარმა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ინტერი — დისანგრო | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| **29 ოქტომბერი** | | | |
| ლაციო — მილანი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| **ესპანეთი.** თასის მეორე წრე. პირველი მატჩები | | | |
| **27-29 ოქტომბერი** | | | |
| ლევანტე — ესტრემადურა | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| სევილია — სალამანკა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რეიესი — ტენერიფე | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| სპორტინგი — სარაგოსა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| მალაგა — ვალიადოლიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლას პალმასი — ალავესი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ტალავერა — ვილიარეალი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ნუმანსი — რასინგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ხერესი — დეპორტივო | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ბადახოსი — ოვიედო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ლეიდა — ოსასუნა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **ჰოლანდიის თასი** | | | |
| **27 ოქტომბერი** | | | |
| ალკმაარი — მაასტრიხტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ტვენტე — ვენლო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| სიტარდი — ვალვაიკი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| როდა — ვეენდამი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ვიტესი — ვოლენდამი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| **28 ოქტომბერი** | | | |
| გრონინგენი — ტონეგიდო | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ემენი — ჰერენვენი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ექსელსიორი — პსვ ეინდჰოვენი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| დევენტერი — გრააფსხაპი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჰერაკლესი — ბრედა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| უტრეხტი — ნაიმეგენი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ტილბურგი — ცვოლე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| აიაქსი — უდი 19 | 1,02 | 10,0 | 20,0 |
| **შოტლანდია.** ლიგის თასის ნახევარფინალი | | | |
| **27 ოქტომბერი** | | | |
| სენტ ჯონსტონი — ჰართსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| **შოტლანდიის** ჩემპიონატი. გადადებული მატჩები | | | |
| **28 ოქტომბერი** | | | |
| დანდი — დანფერმლაინი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მოზერველი — რეინჯერსი | 6,5 | 3,2 | 1,5 |
| **ავსტრიის** ჩემპიონატი. XIV ტური | | | |
| **27 ოქტომბერი** | | | |
| ლინცერი — რაპიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| **28 ოქტომბერი** | | | |
| აუსტრია — ლუსტენაუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| შტაირი — რიდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| შტურმი — ზალცბურგი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| ტიროლი — გრაცერი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| **შვეიცარიის** ჩემპიონატი. გადადებული მატჩები | | | |
| **27 ოქტომბერი** | | | |
| გრასჰოპერი — სიონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

საქართველოს ჩემპიონატი

# დათვები ყოჩებს გაუთამამდნენ



დათვებმა ყოჩი მოიგდეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

**ყოჩები 18:18 დათვები**

ყოჩები: 2 ლ — ტყეშელაშვილი; ხეხელაშვილი; 1 გ — ტყეშელაშვილი; 2 ს — ტყეშელაშვილი.
დათვები: 3 ლ — ჩუბინიძე, გურეშიძე, სვანიძე; 1 ს — შარვაშიძე

მეორე ადგილზე მყოფი ლიდერთან რომ ფრეს მიაღწევს, გასაკვირი რატომ უნდა იყოს, მაგრამ „ყოჩების" უპირატესობა სხვებზე იმდენად დიდია, რომ მხოლოდ ორი ქულა დაკარგა და ორივე სწორედ ზღვისპირელებთან. უკვე ვწერდით, რომ ნაკრების წევრთა არყოფნაში „ყოჩები" გაფერმკრთალებული ჩანან. ამიტომ გუშინდელი შეხვედრისადმი ინტერესს თანაბარი, დაძაბული ბრძოლის მოლოდინიც ამძლავრებდა.

მატჩი მართლაც ლიდერთა საკადრისი გამოდგა, თუმცა „ყოჩები" მაინც უფრო გააზრებულად თამაშობდნენ. ორივე გუნდს გარკვეული უპირატესობა დროის რაღაც კონკრეტულ მონაკვეთში ჰქონდა და ერთურთის ჯობნას მშვენივრადაც ამტკიცებდნენ, მაგრამ მთლიანობაში თბილისელებმა მაინც თითქმის ყველა კომპონენტში აჯობეს მეტოქეს. ბათუმელთა გუნდი მოგების ჟინით ანთებული, მაგრამ შეფიქრიანებულიც გვარიანად იყო. მათი მარჯვენა ფლანგი მთლიანად მოშლილი იყო და ეს ორივე ტაიმში იგრძნობოდა, განსაკუთრებით კი პირველ ნახევარში, როცა წიკლაურისა და ხეხელაშვილის სწრაფი „გასეირნებები" ძლივს ალკვეთეს ბათუმელთა უკანახაზელებმა. სუსტად ითამაშა დერეფნებში სვანიძემაც, რომელიც ჩვეულებრივ სტაბილურად იგებს აუტებს, მაგრამ „დათვები" ძირითადად მაინც დამრტყმელებმა აზარალეს — ჩუბინიძემ და შარვაშიძემ ვერც გარდასახვები შეაგდეს და ვერც საჯარიმოები. თბილისელებში კვლავ გამოირჩა დამრტყმელი ტყეშელაშვილი და აკი ქულათა უმეტესობაც მითვალა. მან ბოლო ორ თამაშში 11 დარტყმიდან ათი გამოიყენა!

...თამაშის დაწყებისთანავე რამდენიმე გადაცემის შემდეგ ბურთი ჩუბინიძემ მიილო და სალელოე მოედნისკენ თავქუდმოგლეჯით გავარდნილმა პირველივე წუთზე გახსნა ანგარიში. გაცუდებული გარდასახვის მიუხედავად მისი თანაგუნდელები კარგა ხანს ხარობდნენ დაწინაურებით, ვიდრე ტყეშელაშვილმა ლელოგარდასახვით ცივი წყალი არ გადაასხა მათ სიხარულს. ამ ლელოებს შორის მოედანზე მძაფრი ჭიდილი იყო, უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა, მერე კი ამ შეხლა-შემოხლაში „ყოჩების" დამრტყმელმა იმარჯვა და ლელოთი ჯერ გაათანაბრა, შემდეგ უნაკლოდ შესრულებული გარდასახვით დააწინაურა თავისიანები. ორივე გუნდი ხისტად თამაშობდა. ძალზე ხშირი იყო აბრაგანები, რაც ზოგჯერ უმისამართო დარტყმას უფრო ჰგავდა. ასეთ თამაშში უფრო დედაქალაქებს გაუმართლათ, როცა ხეხელაშვილმა კარგად გაჭრა მეტოქის რიგები და ლამის ხელჩართულ ბრძოლაში დადო ბურთი. ცოტა ხანში ბათუმელებმა წამოიწყეს შეტევა, რომელიც ძალისმიერი გუნდური ლელოთი დასრულდა, რომლის ავტორობაც გურეშიძეს მიეწერა. ამითი მან ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირა. თამაშის დასრულებამდე ათი წუთი რჩებოდა და მატჩის დრამატული ფინალიც აქედან დაიწყო. ამ დროისთვის ისევ ორმხრივი იერიშები გაჩაღდა, თუმცა ბურთი უფრო ბათუმელთა ნახევარზე იყო. ერთ ეპიზოდში სტუმრებმა ჩაჭრეს გადაცემა და სვანიძემ სპრინტერივით ირბინა, გვერდი აუქცია რამდენიმე მეტოქეს და ლელო გაიტანა, რითაც ანგარიში გაათანაბრა. ბათუმელებს დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ ჩუბინიძემ გარდასახვა ააცილა. ასე გაუშვეს მათ გამარჯვების უკანასკნელი შანსი ხელიდან, მაგრამ არანაკლები შესაძლებლობა გაანიავეს „ყოჩებმაც" ზედ უკანასკნელ წამებზე, როცა ორმა ერთის წინაალმდეგ ლელოს გატანას თავი ვერ მოაბეს. მატჩის შემდეგ ალბათ ამიტომაც იყო მათი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი გაწბილებული, არ მეგონა, თუ ვერ მოვიგებდითო.

**ირაკლი თამაძე**

# მოზურთალთ შემოაღამდათ

**დინამო 5:48 ექსპრესი**

დინამო: 1 ლ — ამირხანაშვილი
ექსპრესი: 8 ლ — ჩაჩუა (2), ძაგანია (2), კვინიხიძე, კვანტალიანი, ჩხენკელი, ძნელაძე. 4 გ — კვინიხიძე

მატჩის შედეგის წინასწარ განსაზღვრა [..]ე სირთულეს არ წარმოადგენდა. სა[..]ხავი მხოლოდ ის იყო, რა ანგარიშით [და]მარცხებდა სტუმარი მასპინძელს, თუმც [..]როყანაში, მეტოქე გუნდების კლასში [..]დი სხვაობის მიუხედავად, მაინც უშე[..]ვათო ბრძოლას ველოდით.

[..]რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის მე[..]დინეობით, რომელმაც მატჩი ოთხ საა[თზ]ე დანიშნა, მობურთალთ შუა თამაშში [შე]მოაღამდათ და მსაჯიც იძულებული გა[ხ]და, ათი წუთით ადრე დაემთავრებინა. [..] დარჩენილ ათ წუთს მატჩის შედეგზე [..]ავითარი გავლენის მოხდენა აღარ შე[ეძ]ლო. მანამდე კი...

პირველი ტაიმის შუაწელისთვის სტუ[მრ]ებს უკვე 22:0 მიჰყავდათ. ანგარიში [ჩაჩ]უამ გახსნა ლელოთი. ათ წუთში მას [..]არი ჩხენკელმაც აუბა. ძნელი მისახვე[დრ]ი არ უნდა იყოს, რომ „ექსპრესი" სრულ უპირატესობას ფლობდა. მასპინძლები კი ცდილობდნენ რაიმე საინტერესოს გაკეთებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ, მხოლოდ აუტებში ყოჩაღობდნენ. ტაიმის ბოლომდე ჯერ კვინიხიძემ, შემდეგ კი ჩაჩუამ თითო ლელოც გაუტანეს მეტოქეს და ტაიმიც ასე ჩამთავრდა — 22:0.

მეორე ნახევარში შედარებით დაძაბული ბრძოლა ვიხილეთ. უფრო ზუსტად, „დინამომ" მოინდომა ცოტა მეტად, მაგრამ შედეგი 58-ე წუთამდე ვერ მოიმკო. ამ დროისთვის კი ანგარიში უკვე 41:0 გახლდათ. 47-ე წუთზე კვანტალიანმა მორიგი ლელო გაიტანა, შემდგომ ოთხ წუთში კი ძაგანიამ ივაჟკაცა და ორი ლელო მიითვალა. კვინიხიძემ ორჯერვე ზუსტად გარდასახა.

58-ე წუთზე კი, როგორც ზემოც ვთქვით, დინამოელთა გააქტიურებამ შედეგი გამოიღო — ლელო ამირხანაშვილის ანგარიშზეა. გატანილმა ლელომ, ეტყობა, ხასიათი გამოუსწორა მასპინძლებს, რომლებსაც შეხვედრის დამთავრებამდე კიდევ ორჯერ მიეცათ ლელოს გატანის შანსი, მაგრამ ბოლო მომენტში სცოდავდნენ. სტუმრებმა კი პირიქით — ტაიმის ბოლო ათ წუთში ერთი შეტევა განახორციელეს და ისიც ძნელაძემ დააგვირგვინა ლელოთი. ეს ყველაფერი 70-ე წუთზე მოხდა. დარჩენილ ათ წუთზე კი წერილის დასაწყისში მოგახსენეთ. ამ გამარჯვებით „ექსპრესმა" კვლავ დაიბრუნა მეორე ადგილი ცხრილში და მის შესანარჩუნებლად გადამწყვეტი ბრძოლის გადახდა ბათუმში მოუწევს 7 ნოემბერს.

**ბაატა თოთაძე**

მდგომარეობა 27 ოქტომბრისთვის

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 21 | 19 | 2 | 0 | 882:219 | 125:21 | 40 |
| ექსპრესი | 21 | 14 | 0 | 7 | 633:267 | 95:31 | 28 |
| დათვები | 21 | 13 | 2 | 6 | 548:205 | 75:21 | 28 |
| ასკ | 21 | 12 | 0 | 9 | 423:353 | 61:50 | 22 |
| გუმარი | 21 | 10 | 0 | 11 | 403:302 | 59:41 | 19 |
| დინამო | 21 | 3 | 0 | 18 | 116:869 | 8:136 | 6 |

მომდევნო ტური 01.11

დათვები — დინამო
ასკ — ყოჩები
ექსპრესი — გუმარი

# პრეზიდენტსაც აღარ უჯერებენ?

საფრანგეთში წასულ ქართველ მორაგბეთა ნაკრებს ფული შემოაკლდა — გვაცნობა საფრანგეთიდან რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა — [..] გამოც ფიზმომზადების მწვრთნელი [და] ორი მორაგბე თბილისში დავაბრუნეთ. ეს ამბავი მით უფრო გასაკვირია, [რო]მ რაგბის კავშირმა თადარიგი ადრევე [და]იჭირა. ჯერ კიდევ 6 ოქტომბერს კავ[შ]ირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ თხო[vნი]თ მიმართა ქვეყნის პრეზიდენტს საფრანგეთ-ირლანდიის ტურნე-ტურნირის მო[ნაწილე]ობად საჭირო თანხის — 50 ათასი დოლარის შოვნაში დასახმარებლად. პრეზიდენტმაც იმავე დღეს დაადო რეზოლუცია ამ განცხადებას და კახი ასათიანსა და მიხეილ ჭკუასელს დაავალა პრობლემის მოგვარება თუნდაც მისივე, პრეზიდენტის ფონდიდან. მაგრამ რად გინდათ — დღემდე ეს საკითხი მოუგვარებელია, რის გამოც ტურნირი შეიძლება ჩაიშალოს, თუმც ქასაშვილიც და გეგიძეც გვაიმედებენ, ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდებაო. დღეს დეპარტამენტში ეს საკითხი უნდა გადაწყდეს. თუ თანხა კვლავ ვერ გამოინახა, მაშინ გეგიძე ვალის აღებას, ხოლო მორაგბეები კბილებით ბრძოლას აპირებენ, თუმც კი იმედი აქვთ, რომ ეს არ მოუწევთ და სახელმწიფო მოხედავთ.

რაც შეეხება თავად ნაკრებს, ხვალ მას მეტად საინტერესო მატჩი აქვს ჟუანვილის ბატალიონთან, რომელიც საფრანგეთში „მამლების" შემდეგ უძლიერესად ითვლება. ქასაშვილის თქმით, გუნდში საბრძოლო განწყობაა და ბიჭებს მოგების იმედი აქვთ.

**ირაკლი თამაძე**

# ლომუ შინ დარჩება

[..]ჯონა ლომუს მენეჯერმა ფილ კინგსლი-ჯონსმა უარყო ბრი[ტა]ნულ პრესაში გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ახა[ლ]ზელანდიელი ვარსკვლავი ნისლიან ალბიონზე ჯიბესქელ ინგ[ლ]ისურ კლუბ „სარაცინებთან" მოსალაპარაკებლად აპირებდა [ჩას]ვლას.

[..]ჯონსმა ადგილობრივი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში [გა]აცხადა, „სარაცინებთან" მოლაპარაკების შესახებ ხმები მეტად [გა]დაჭარბებულია, ნოემბერ-დეკემბერში ჩემი კლიენტი ინგლი[სშ]ი მატჩის გამართვასაც არ აპირებსო". ლომუს ოთხკვირიანი [ვიზ]იტი თურმე ბავშვთა თირკმელის დაავადებათა საქველმოქ[მედ]ო ფონდის დასახმარებლად და რამდენიმე ინტერვიუს მისაცემად ყოფილა მოწყობილი.

მანვე დაუმატა, ლომუს ყურადღება ამჯერად მომავალი წლის „ოლბლექსში" მოხვედრისა და სუპერ 12-ის გათამაშებაში წარმატებული თამაშისკენაა მიმართულიო, თუმცა არც ის დაუმალავს, 1999 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ მორაგბეს ახალი ზელანდიის რაგბის კავშირთან კონტრაქტი უმთავრდება და ჩემი მოვალეობაც კია, საუკეთესო არჩევნის გაკეთებაში დავეხმაროო: „იქნება ეს რაგბის კლუბი, რაგბის ლიგა თუ ლონდონის პოლიციის მთავარი ინსპექტორი, მე ყველას გავესაუბრები, რათა არცერთი ვარიანტი განუხილავი არ დარჩეს."

**ბახა არჯევანიძე**

ამ უქმეების უმთავრესი მოვლენა ტორონტოს [..] ასპარეზობა გახლდათ. „ნეკერჩხლებმა" სტუმრად გრანდებს დეტროიტსა და პიტსბურგს მოუგეს და „წითელფრთიანთ" სახელოვან მწვრთნელს სკოტი ბოუმენს გუნდში დაბრუნების სიხარული ჩაუშხამეს. კანადელებმა მარკ მესიეს საიუბილეო, მე-600 შაიბაც დაჩრდილეს ვენსან ლეკავალიეს პირველი გოლიც ნჰლ-ში. ახლა შარშანდელი აუტსაიდერი დალასთან ერთად 11 ქულით ლიდერობს.

# ტორონტომ აიწყვიტა




REUTERS

დეტროიტის მეკარე კრის ოსგუდმა მონრეალელ მარკ რექის იერიში გაუცუდა

23 ოქტომბერი

**ბუფალო — ვაშინგტონი 0:1**

0:0 0:0 0:1

0:1 შვეიკოვსკი 47'16 (2)

ვაშინგტონელმა მეკარემ ოლაფ კოლციგმა (30 მოგერიება და მე-9 შატაუტი), პლეი ოფის დარად, თავის სახელოვან კოლეგას დომინიკ ჰაშეკს აჯობა.

**ნეშვილი — კალგარი 3:4**

1:1 1:1 1:2

0:1 ბაუსლი 1'31 (1); 1:1 კრივოკრასოვი 4'45 (3); 1:2 მაკინისი 31'47 (1); 2:2 ნელსონი 39'54 (2); 2:3 იგინლა 47'22 (3); 3:3 ვოპატი 51'48 (1); 3:4 სტილმანი 52'38 (1)

**ფლორიდა — ვანკუვერი 0:5**

0:1 0:3 0:1

0:1 ბერტუცი 14'07 (2); 0:2 ბერტუცი 28'27 (3); 0:3 მოგილნი 31'43 (2); 0:4 ნესლუნდი 34'27 (1); 0:5 მესიე 52'58 (3)

53-ე წუთზე მარკ მესიემ ალექსანდრე მოგილნის (1+3) მიერ მიწოდებული შაიბა კარში გაგზავნა და ლიგის ისტორიაში მეათემ მიაღწია 600-გოლიან ზღვარს. საყვარელი გუნდის უფერული თამაშით გულნატკენმა ფლორიდელმა მაყურებელმა ხანგრძლივი ოვაციით დააჯილდოვა სახელოვანი სტუმარი.

**დეტროიტი — ტორონტო 3:5**

0:2 1:2 2:1

0:1 სუნდინი 14'12 (3); 0:2 ბერეზინი 19'25 (4); 0:3 კაბერლე 24'24 (1); 1:3 შენაჰანი 37'59 (7); 1:4 ტომასი 39'13 (2); 2:4 ლარიონოვი 44'31 (1); 3:4 ლაპოინტი 52'56 (1); 3:5 ბერეზინი 58'02 (5)

სკოტი ბოუმენის გამოჯანმრთელებისა და კლუბში დაბრუნების სიხარული ტორონტოელი ფორვარდების — ბერეზინის (2+1), სუნდინისა (1+1) და მოდანოს (1+1) გოლებმა წაახდინა, ხოლო სტუმართა მცველმა ტომაშ კაბერლემ ნჰლ-ში პირველი გოლი გაიტანა.

**ტამპა — ლოს ანჯელესი 3:2**

0:0 1:1 2:1

0:1 კურტნოლი 21'28 (1); 1:1 ტაკერი 27'26 (3), 2:1 რენბერგი 44'55 (1); 3:1 კუბინა 57'01 (1); 3:2 ფერარო 58'18 (1)

24 ოქტომბერი

**კოლორადო — ედმონტონი 6:4**

4:0 1:2 1:2

1:0 საკიკი 3'59 (5); 2:0 დედმარში 7'47 (3); 3:0 პეიდუკი 15'54 (2); 4:0 ლემიე 18'21 (2); 4:1 ჯ. ბრაუნი 25'17 (3); 4:2 გერინი 31'18 (6); 5:2 ლემიე 36'39 (3); 5:3 გრირი 52'28 (1); 5:4 მარჩანტი 55'47 (2); 6:4 ჯონსი 59'52 (1)

კაროლინამ და მისმა ახალმა მწვრთნელმა ბობ ჰარტლიმ სეზონში პირველი გამარჯვება უმძაფრესი და შეხლა-შემოხლით აღსავსე ბრძოლით მოიპოვეს.

**დალასი — სან ხოსე 2:1**

2:1 0:0 0:0

1:0 ლანგებრუნერი 2'26 (2); 1:1 შტურმი 14'42 (1); 2:1 ვერბიკი 15'03 (3)

**ნიუ ჯერსი — ბოსტონი 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 სიკორა 13'41 (3); 1:1 სამსონოვი 23'11 (3); 2:1 პანდოლფო 29'46 (1); 3:1 ანდრეიჩუკი 54'28 (1)

**სენტ ლუისი — კალგარი 4:3**

1:0 2:1 1:2

1:0 პრონგერი 4'52 (1); 2:0 დემიტრა 22'27 (3); 2:1 ჰალსი 27'55 (1); 3:1 პრონგერი 31'10 (2); 3:2 ფლერი 48'00 (4); 3:3 ბურე 49'28 (3); 4:3 მაკინისი 59'58 (4)

მატჩის დამთავრებამდე 1,4 წამით ადრე ელ მაკინისმა თავისი საფირმო უძლიერესი დარტყმით გაამარჯვებინა მასპინძლებს.

**ჩიკაგო — ნეშვილი 5:4**

1:3 1:0 3:1

0:1 უოკერი 4'31 (1); 0:2 ჩელბერგი 7'01 (1); 0:3 კრივოკრასოვი 15'19 (4); 1:3 ლაფლამი 19'30 (1); 2:3 კილგერი 23'30 (2); 2:4 ეტჩინამი 46'05 (1); 3:4 ამონტე 55'10 (5); 4:4 ამონტე 56'51 (6); 5:4 კილგერი 57'51 (3)

**პიტსბურგი — ტორონტო 4:6**

1:3 1:0 2:3

0:1 სუნდინი 1'40 (4); 1:1 დოლასი 6'09 (1); 1:2 კოროლიოვი 10'41 (1); 1:3 დ. კინგი 14'17 (2); 2:3 სტრაკა 25'50 (1); 3:3 სტრაკა 43'28 (2); 3:4 მოდინი 44'32 (2); 3:5 კაბერლე 46'12 (2); 4:5 ბარნსი 58'36 (2); 4:6 კ. კინგი 59'33 (1)

ტორონტო და მისი ლიდერი მატს სუნდინი (გოლს 3 შედეგიანი პასიც დაამატა) თანდათან შეუჩერებელნი ხდებიან.

**ვაშინგტონი — ფლორიდა 2:2**

0:1 1:0 1:1 0:0

0:1 შპაჩეკი 6'09 (1); 1:1 ჟიუნო 38'13 (2); 1:2 კოზლოვი 44'35 (3); 2:2 იუჰანსონი 46'21 (1)

ფლორიდის დებიუტანტმა მცველმა იაროსლავ შპაჩეკმა ნჰლ-ში თავისი პირველი გოლი გაიტანა, „პანტერებმა" კი პირველ პერიოდში სეზონში პირველად შეაგდეს შაიბა.

**მონრეალი — დეტროიტი 0:3**

0:0 0:0 0:3

0:1 აიზერმანი 53'19 (1); 0:2 მერფი 56'49 (2); 0:3 ლაპოინტი 58'39 (2)

მონრეალის საძლევად „წითელფრთიანებს" თავიანთი კაპიტნის სტივ აიზერმანის სეზონში პირველი შაიბაც (9 პასის შემდეგ) წაადგათ.

**აილენდერსი — ბუფალო 5:4**

2:0 2:2 1:2

1:0 ოჯიკი 2'54 (2); 2:0 ლაპოინტი 14'41 (2); 3:0 დოუ 26'10 (1); 4:0 სმოლინსკი 34'28 (1); 4:1 ბრაუნი 38'27 (1); 4:2 პრიმო 39'43 (1); 4:3 უორდი 45'57 (2); 4:4 პოლცინგერი 46'33 (2); 5:4 ლაპოინტი 59'19 (3)

**ოტავა — კაროლინა 1:3**

0:3 1:0 0:0

0:1 შეპარდი 2'20 (2); 0:2 კაპანენი 4'37 (3); 0:3 პრიმო 18'28 (4); 1:3 პროსპალი 26'20 (1)

კაროლინამ პირველივე ორი დარტყმა გოლად აქცია.

**ფილადელფია — რეინჯერსი 2:2**

0:1 0:1 2:0 0:0

0:1 მაკლინი 11'11 (2); 0:2 გრეივსი 25'16 (2); 1:2 ლეკლერი 45'34 (5); 2:2 ბრინდამორი 49'03 (3)

25 ოქტომბერი

**ანაჰაიმი — ფინიქსი 2:2**

0:1 0:1 2:0 0:0

0:1 ტვერდოვსკი 0'51 (3); 0:2 ტკაჩუკი 26'23 (2); 1:2 სელიანე 48'22 (3); 2:2 რუჩინი 55'22 (1)

„იხვები" ისევ სელიანემ (1+1) და კარიამ (2 პასი) იხსნეს.

**ტამპა — ვანკუვერი 3:2**

1:1 0:1 2:0

0:1 ოლუნდი 7'17 (2); 1:1 ლეკავალიე 9'38 (1); 1:2 ოლუნდი 28'30 (3); 2:2 კლარკი 40'43 (5); 3:2 კალიმორი 47'37 (3)

დრაფტის პირველმა ნომერმა ვენსან ლეკავალიემ მხოლოდ მე-8 მატჩში შეძლო გოლის გატანა.

**კაროლინა — ლოს ანჯელესი 2:3**

0:0 1:2 1:1

1:0 კრონი 28'06 (2); 1:1 რობიტაილი 29'22 (4); 1:2 მიურეი 33'02 (2); 2:2 რობერტსი 43'46 (2); 2:3 მოგერი 57'06 (1)

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქაც ტრავმა, იქაც ტრავმა

**ლიონი. საფრანგეთი. ჩოგბურთის გრან პრი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 700 ათასი $**

**მეოთხედფინალი: ტომი ჰაასი (გერმანია) — პიტ სამპრასი (1, აშშ) — ტრავმა; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) 6:4, 6:1; მარსელო რიოსი (3, ჩილე) — არნო დი პასკალი (საფრანგეთი) 6:4, 6:0; ალექს კორეტხა (4, ესპანეთი) — ოლივიე დელეტრი (საფრანგეთი) 7:6 (7:2), 7:5**

გასულ უქმეებზე საჩოგბურთო სამყაროს ტრავმების ეპიდემიამ გადაუარა.

პირველი მსხვერპლი, როგორც უკვე გაუწყეთ, მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი გახდა. ლიონში მოასპარეზე ამერიკელმა ტომი ჰაასთან მეოთხედფინალური მატჩის წინ ზურგის ტრავმა მოიმიზეზა და თამაშზე უარი განაცხადა: „ტკივილი პირველივე წრეში ვიგრძენი, მაგრამ თამაში გავაგრძელე, გამივლის-მეთქი, თუმცა ამ დილით სპაზმებმა უკვე სერიოზულად შემაწუხა. იმედია, რამდენიმე დღის დასვენება მიშველის. ადრე მსგავსი რამე არასოდეს დამმართნია. არ გამიმართლა, მე ხომ ისე კარგად ვთამაშობდი".

სამპრასი იმავე საღამოს შტუტგარტს გაემგზავრა, სადაც მერსედეს სუპერ ცხრის მორიგი პირველობა იწყება და ორგანიზატორებს პირველ მატჩის ოთხშაბათამდე გადადება სთხოვა, თუმცა სავსებით შესაძლებელია, ამ კვირის გამოტოვება მაინც მოუხდეს.

მეორე მსხვერპლი მსოფლიოს მესამე ჩოგანი პატრიკ რაფტერი შეიქნა. ავსტრალიელს ფავორიტების გამმწარებელ უეინ ფერერასთან ისეც არ ულხინდა, როდესაც პირველი სეტის ბოლოს მუხლის ქრონიკულმა ტრავმამ შეახსენა თავი. სამედიცინო დახმარების მიღების შემდეგ, უფრო მაყურებლების პატივისცემის გამო, რაფტერმა მატჩი მაინც გააგრძელა, მაგრამ მოძრაობაშეზღუდულმა მეორე ხელში პრესტიჟის გეიმსლა გამოჰკრა ხელი.

**ნახევარფინალი: ჰაასი — რიოსი 6:2, 1:0. ტრავმა; კორეტხა — ფერერა 6:3, 6:2**

მსხვერპლი ნომერი სამი — ლიონში მესამედ განთესილი მარსელო რიოსი. სამპრასისა და რაფტერის გავარდნის შემდეგ სამხრეთამერიკელი გამარჯვების ფავორიტი დარჩა, მაგრამ მას ასევე ქრონიკულმა მარცხენა ბარძაყის ტრავმამ გაუჭირვა საქმე, ორმაგ შეცდომას ორმაგი მიაყოლა და მეორე სეტის პირველი გეიმის შემდეგ მეტოქისთვის ხელის ჩამოსართმევად ბადეს მიაშურა.



REUTERS ლიონიდან

ალექს კორეტხა

„მსგავსი რამ იუნიორების დროიდან მემართება ხოლმე, განსაკუთრებით ასეთ ხისტ კორტებზე თამაშის შემდეგ. ახლა რამდენიმე დღით დავისვენებ და ვნახოთ, რა მოხდება" — განაცხადა რიოსმა, რომელიც საავადმყოფოში გასინჯვის მერე შტუტგარტს მაინც გაემგზავრა. არადა, ტურნირის ექიმმა დასვენება ურჩია.

მოგვიანებით ფინალში გასულმა ალექს კორეტხამ მხოლოდ ის შეიცხადა, ამ ჰაასმა სამპრასი და რიოსი მეტად საეჭვოდ ჩამოიცილა გზიდან, თავს უნდა მივხედო, ვინძლო მეც რამე არ დამმართოსო.

**ფინალი: კორეტხა — ჰაასი 2:6, 7:6 (8:6), 6:1**

ალექს კორეტხას ლიონის ტურნირამდე დარბაზებში ერთადერთი მოგება და ოცი-ოცდაათი მარცხი ჰქონდა ანგარიშზე, ასე რომ, იმ პირველობაზე, სადაც მსოფლიოს სამი საუკეთესო ჩოგბურთელი ასპარეზობდა, გამარჯვებაზე ვერც კი იოცნებებდა.

მეოთხედ განთესილ ესპანელს 20 წლის გერმანელთან გამკლავებაც ძალიან გაუჭირდა. კარგა ხნის მანძილზე ჰაასი უკანა ხაზიდან უძლიერესი და უზუსტესი დარტყმებით ბომბავდა მეტოქეს და მეორე სეტში 3:1-ითაც დაწინაურდა, როდესაც კონცენტრაციის მოდუნება საკუთარი მოწოდების დაკარგვად დაუჯდა — ტაი-ბრეიკზე გერმანელს მატჩ-პოინტიც ჰქონდა 6:5-ზე, მაგრამ კორეტხამ ბადესთან გასული ტყვიასავით შემოვლებულით გააბრიყვა, მომდევნო გათამაშებაზე კორტზე დაუშვებელ ბურთს ედბერგ ბეკერის დარად მიუჩინა ადგილი ბადის მეორე მხარეს და გერმანელსაც ხელი აუკანკალდა.

გადამწყვეტ პარტიაში განერვიულებული ჰაასი თამაშის ნაცვლად უფრო ტუჩებს იკვნეტდა და ჩოგანს ძირს ანარცხებდა და გამარჯვებაც მეტოქეს გადაულოცა.

„აქ რომ ჩამოვედი, ვიფიქრე, ერთ-ორ მატჩს წავითამაშებ-მეთქი, ასე რომ, ფინალში გასვლით საკუთარი თავიც კი გავაკვირვე. ეს კვირა არასოდეს დამავიწყდება — განაცხადა კორეტხამ, რომელიც ბოლო 22 წლის მანძილზე დარბაზის ტურნირის მომგები პირველი ესპანელი შეიქნა (1976-ში მანუელ ორანტესმა ჰიუსტონში იმარჯვა), სეზონის მეოთხე ტიტულისთვის 101500 დოლარი მიითვალა და თანაც ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც გაინაღდა — ვიმედოვნებ, ეს გამარჯვება სწრაფ კორტებზე მომავალი წარმატებების საწინდარი იქნება. ამისთვის მე ძალიან ბევრი ვიშრომე და მიხარია, რომ შედეგებსაც ვიმკი".

ჰაასი კი, რომელმაც შარშანდელ ფინალში ფაბრის სანტოროსთან წააგო, მაყურებლებს შეჰპირდა, აუცილებლად დავბრუნდები და ადრე თუ გვიან ჩემპიონიც გავხდებიო.

**ოსტრავა. ჩეხეთის დარბაზის ღია პირველობა. ტარდება ხალიჩაზე. საპრიზო 1 მილიონი $**

**მეოთხედფინალი: ანდრე აგასი (2, აშშ) — ტომას იოჰანსონი (8, შვედეთი) 6:7 (6:8), 6:4, 6:4; ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) — ნიკლას კულტი (შვედეთი) 6:3, 6:4; უეინ ბლექი (ზიმბაბვე) — მარტინ დამი (ჩეხეთი) 7:6 (7:3), 6:7 (8:10), 6:3; იან კროსლაკი (სლოვაკეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:3, 6:0**

მეოთხედფინალში ანდრე აგასიმ კიდევ ერთი შესანიშნავი სპექტაკლი აჩუქა ჩოგბურთის მოყვარულებს. 28 წლის ამერიკელი ტომას იოჰანსონთან გადამწყვეტ ხელში 0:4-ს აგებდა, როდესაც მაყურებლებისგან წაქეზებული ბრწყინვალედ ათამაშდა, ზედიზედ ექვსი გეიმი მოიგო და მერე აღნიშნა, ასე კარგად წლეულს არსად მითამაშიაო.

**ნახევარფინალი: აგასი — ბლექი 7:6 (7:2), 6:3; კროსლაკი — ენკვისტი 4:3 ტრავმა**

ტრავმათა ეპიდემია შაბათს ოსტრავასაც გადასწვდა.

მსხვერპლი ნომერი ოთხი — ტომას ენკვისტი. ერთ დროს საუკეთესოთა ათეულში შემავალ შვედს ბოლო ორი წლის მანძილზე საავადმყოფოში მეტი დრო ექნება გატარებული, ვიდრე კორტზე. მოტეხილობა-ამოვარდნა-სპაზმები ერთმანეთს ენაცვლებოდა და ამჯერადაც კოჭის ძველი ტრავმა აღმოჩნდა საბედისწერო: ენკვისტს, ალბათ, ისევ კარგა ხნით მოუწევს ჩოგნის გვერდზე გადადება.

იან კროსლაკს, რომელსაც სკანდინავიელმა სეზონის პირველი ფინალისკენ გაუხსნა გზა, ეს მაინცდამაინც არ გახარებია: „გამიკვირდა, მატჩი რომ ვერ გააგრძელა. მანამდე ძალიან კარგად ვირჯვებოდი, მაგრამ გამარჯვებას დამსახურებულად მაინც ვერ ჩავთვლი".

**ფინალი: აგასი — კროსლაკი 6:2, 3:6, 6:3**

24 წლის კროსლაკმა მატჩის წინ კი შეიცხადა, არ ვიცი, აგასის როგორ უნდა ვეთამაშო, გული მისკდებაო, მაგრამ ამერიკელს გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია და ერთ-ორ გადამწყვეტ გათამაშებაზე (მესამე ხელის შუაგულში) იოლი ბურთები რომ არ გაეფუჭებინა, კაცმა არ იცის, ფინალი როგორ დასრულდებოდა.

აგასიმ კარიერის 39-ე ტიტული მიითვალა, კორეტხას მსგავსად, მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობაც გაინაღდა და ჩეხეთიდან ჯიბეგასქელებული გამობრუნდა — საპრიზო 137 ათასი დოლარის გარდა მას ხომ ორგანიატორებისგან 200 ათასიც ერგო ასე შორს გამგზავრებისთვის.



მარი პირსი

**მოსკოვი. რუსეთი. კრემლის თასი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 1 მილიონი $**

**მეოთხედფინალი: ვინუს უილიამსი (1, აშშ) — კატარჟინა სტუდენიკოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:0; მონიკა სელეში (2, აშშ) — სილვია ფარინა (იტალია) 6:0, 6:1; სანდრინ ტესტიუ (7, საფრანგეთი) — კონჩიტა მარტინესი (3, ესპანეთი) 7:6 (7:4), 7:5; მარი პირსი (5, საფრანგეთი) — მაუი სერნა (ესპანეთი) 7:5, 6:3.**

მსხვერპლი ნომერი ხუთი — კონჩიტა მარტინესი. მესამედ განთესილ ესპანელს ფეხი მაშინ ასტკივდა, მეორე ხელში 5:2 რომ იგებდა და იქიდან მოყოლებული ერთი გეიმიც ველარ მოიგო.

**ნახევარფინალი: პირსი — უილიამსი 2:6, 6:2, 6:0. სელეში — ტესტიუ 6:3, 7:6 (9:7).**

მსხვერპლი ნომერი ექვსი — ვინუს უილიამსი. მარტინესისა არ იყოს, შავტუხა ამერიკელს ფეხი მაშინ წამოსტკივდა, მეორე ხელში 2:1-ს რომ იგებდა და მას მერე ერთი გეიმიც კი ვერ მიითვალა: „ბოლო ოთხი კვირის მანძილზე ძალიან ბევრი მატჩი ჩავატარე და მუხლიც ამიტომ ამტკივდა. შეხვედრას თავს არასდროს ვანებებ ხოლმე და ახლაც ბოლომდე ვითამაშე, მაგრამ თავს კარგად არ ვგრძნობდი" — განაცხადა ვინუსმა. ისე, პირსმა, რომელიც უილიამსთან გასულ კვირაში დამარცხდა, მეტოქის ნათქვამში ეჭვი შეიტანა, ტრავმისა ბევრი არაფერი ეტყობოდაო.

**ფინალი: პირსი — სელეში 7:6 (7:2), 6:3.**

მძლავრ უკანახაზელთა ორთაბრძოლაში, რომელთა დარტყმები ხშირად კაცებისას არაფრით ჩამოუვარდება, ბევრისთვის მოულოდნელად მარი პირსმა იმარჯვა. მოულოდნელად იმიტომ, რომ სელეშთან წინა ექვსი შეხვედრიდან მარიმ ხუთი წააგო.

გადამწყვეტი მეორე ხელის პირველი გეიმი გამოდგა — ფრანგმა მასში რამდენიმე ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. „ის მოწოდება რომ დამეკარგა, ყველაფერი შეიძლებოდა შეცვლილიყო. ამ ტურნირზე რამდენიმე საშინელი მატჩი ჩავატარე, ძალიან გამიმართლა, რომ მათი მოგება მოვახერხე" — განაცხადა პირსმა, რომელსაც 180 ათასი დოლარი ერგო — ტურნირის მოგება ყოველთვის შესანიშნავი რამ არის, განსაკუთრებით მაშინ, როცა წინა კვირებში თავი არაფრით გამოგიჩენია."

**ავთანდილ სვანიძე**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორაშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დუვაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29




# ჰერმინატორი, სხვა ვინ?

გასულ უქმეებზე ავსტრიულ ზოლდენში სამთოსათხილამურო სეზონი გაიხსნა, გაიხსნა დიდი დანაკარგებით. ამ მეტად სახიფათო სპორტის სახეობის ორ უდიდეს ვარსკვლავს — ალბერტო ტომბასა და კატია ზაიცინგერს თოვლიან ტრასებზე წლეულს ველარ ვიხილავთ.

იტალიელმა პლეიბოიმ, რომელსაც თავისი 12-წლიანი კარიერის მანძილზე სამი ოლიმპიური და ორი მსოფლიოს ჩემპიონატების ოქრო, 50 მსოფლიოს თასის ეტაპი მოუგია, თხილამურები ოქტომბრის დასაწყისში გადადო გვერდზე.

შარშანდელი სეზონის მსოფლიოს თასის მფლობელმა ზაიცინგერმა კი რამდენიმე კვირის წინ ისე დაიზიანა ორივე მუხლი, შეიძლება გაისად კი არა, საერთოდაც ველარ დაუბრუნდეს დიდ სპორტს.

ამათ არყოფნაში ყურადღების ცენტრში ავსტრიელი ჰერმან მაიერილა დარჩა, 25 წლის „ჰერმინატორად" წოდებული კალატოზი, რომელმაც გასულ სეზონში ყველაფერი მოიგო — ნაგანოს ოლიმპიადის ორი ოქროდან დაწყებული სუპერ გიგანტის, გიგანტური სლალომისა და მსოფლიო თასის საერთო ჩათვლით დამთავრებული.

„შარშან იმდენი რამ მოვიგე, შედეგის გაუმჯობესებაზე არც ვფიქრობ, მთავარია, იგივე დონე შევინარჩუნო. საკუთარ თავს დიდ მოთხილამურედ მხოლოდ მაშინ ჩავთვლი, თუ მსგავს რამეს კიდევ ერთხელ მაინც შევძლებ. თუმცა სეზონის დასაწყისში თავის გამოდებას არ ვაპირებ. მთავარია, ენერგია ზამთრის ეტაპებისა და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შევინარჩუნო" — განაცხადა ჰერმანმა.

მაიერის მთავარი კონკურენტები ისევ თანამემამულეები იქნებიან — ავსტრიელებმა შარშან მსოფლიოს თასის 37-დან 25 ეტაპზე იმარჯვეს, თუმცა გიგანტურ სლალომში წინააღმდეგობის გაწევა შვეიცარიელ მიქაელ გრუნინგენსაც შეუძლია. გრუნინგენმა ზაფხულში კალათბურთის თამაშისას მარცხენა ფეხის მყესები დაიწყვიტა, მაგრამ მთიან ტრასებს გასულ კვირაში დაუბრუნდა თუ არა, ვარჯიშებზე საუკეთესო დრო აჩვენა.

ქალებში კი ზაიცინგერის არყოფნაში პირველობას ისევ გერმანელები — მარტინა ერტლი და ჰილდე გერგი შეეცილებიან ერთმანეთს, რომელთაც თანამემამულის არყოფნაში თავის გამოჩენის მეტი შესაძლებლობა ექნებათ.



REUTERS ზოლდენიდან

ჰერმან მაიერი

გიგანტურ სლალომში ფავორიტა იტალიელი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი დებორა კომპანიონიც, თუმცა მას ამჟამად ზურგის ტკივილები აწუხებს და საუკეთესო ფორმაში არ გახლავთ.

ზოლდენში გამართულ გიგანტურ სლალომის ეტაპზე კი შემდეგი შედეგები დაფიქსირდა.

**კაცები: 1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 2:10,74; 2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 2:12,43; 3. ჰაინც შილჰეგერი (ავსტრია) 2:13,08; 4. კრისტიან მეიერი (ავსტრია) 2:13,13; 5. მიქაელ ვან გრუნინგენი (შვეიცარია) 2:13,28.**

**ქალები: ანდრინ ფლემენი (ნორვეგია) — 2:15,05; 2. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 2:15,31; 3. დებორა კომპანიონი (იტალია) 2:15,62; 4. ლეილა პიკარი (საფრანგეთი) 2:16,32; 5. სონია ნეფი (შვეიცარია) 2:16,40.**

**ზურაბ ძალატოზიშვილი**